



საქართველო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახაზებიანი გაზეთი გამოდის ყოველკვირა დღე

№ 43

ოქტომბერი 13 1896 წ.

№ 43

შინადასი: კვირიდან კვირამდე მ—სი.—რძისა და რძის ნაწარმოებთა გამოყენის შესახებ ტ—ისა.—სხვა-და-სხვა ამბავი.—
 ჟურნალ-გაზეთებიდან.—უცხოეთიდან: სოფელი და სასოფლო სკოლა გერმანიაში (შემდეგი) საზღვარ-გარეთიდან.—* * * ლექსი
 კნ. ნ. ორბელიანისა.—„კვალის“ კორესპონდენციები.—* * * ლექსი ს. პავლიაშვილისა.—კრიმინალური ანთროპოლოგია (შემ-
 დეგი) გ. ბადრიძისა.—გურიის მოგზაურობა, იობა მეთვალყურისა.—ბიბლიოგრაფია—საქველ-მოქმედო საქმე და განცხადებანი.

№ IX „ჯეჯილისა“ გამოვიდა და დაუთრიგდა ხელის მომწერლებს.

წარსული ექსი წლის „**ჯეჯილი**“ (36 წიგნი) დაეთმო სახალხო და სკოლის ბიბლიოთეკებს 8 მან. (1890, 91 და 92 წწ. „ჯეჯილი“ უკვე მოწონებული და ნება დართულია კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევისაგან სკოლის ბიბლიოთეკებისათვის).

„**კვალის**“ ეღირება 1-ი ოქტომბრიდან წლის დამლევამდე 2 მან. (თამაშოვის სახლი, გოლოვინის პროსპექტის შესახვევში, კორპუსის გვერდით)

თსმარ დედოფლის დიდი სურათი (ფერადი წამლებით) დღეის იქით გაიყიდება „კვალის“ რედაქციაში 1 მ. 50 კ. (გასაგზავნი ფოსტის ხარჯი 30 კ.)

კვირიდან კვირამდე.



მ ცოტა ხანში ჩვენ მივღეთ ანგარიში იმ კომისიისა, რომელიც განაგებს სახალხო კითხვების საქმეს თფილისში. მეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რამდენათ საყურადღებოა ეს საგანი, ე. ი.

სახალხო კითხვები. ამ უკანასკნელ დროს სახალხო კითხვები იმართება რუსეთის სახელმწიფოში თითქმის ყველა ქალაქებში; ამიტომაც საზოგადოებისათვის სრულიად უცხო არ უნდა იყვეს ეს საქმე. მაგრამ, მეორე მხრით, ყველას არ ეცოდინება არც ის, თუ სად და ან როგორ, რა მიზნით, შემოიღეს რუსეთში სახალხო კითხვები და არც ის, თუ რა წარმატება მიეცა ამ საქმეს სულ ცოტა ხნის განმავლობაში. ამისათვის სანამ თფილისის კომისიის ანგარიშზე ვიტყვოდეთ რამდენსამე სიტყვას, ჩვენ გვსურს, განვიხილოთ მოკლეთ სახალხო კითხვების საქმე მთელ რუსეთში. 1)

საზოგადოებრივი ცნობერება ჩვენ დროში იმნა-

1) ჩვენ შექმვეტი წყაროებით ვხელმძღვანელობდით ამ სტატიის დაწერის დროს:

„Народный чтения“, ст. В. Вахтерова. см. жур. „Русская Школа“, за 1896 г., № № 4, 5, 6 და 7; აგრეთვე სტ. „Годось провинции въ вопр. о Народ. чтенияхъ“ В. Н. Сторожева. „Русская Мысль“, 1896 г. кн. V.

ირათ არის მოწყობილი, რომ მხოლოდ საზოგადოების მცირე ნაწილს შეუძლია ისარგებლოს იმ სხვადასხვა კულტურულ შენაძენებით, რომელნიც კაცობრიობამ მოიპოვა თავის ხანგრძლივი არსებობის დროს; დანარჩენი ნაწილი კ, რომელსაც უმეტესობა წარმოადგენს, იძულებულია მხოლოდ ნასუფრით, ნაფინჩხებით, დაკმაყოფილდეს, და ზოგიერთ შემთხვევაში ესეც არ ხდება ხოლმე მას წილათ. რაც უფრო და უფრო წინ მიდის და ვითარდება თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების წესი, მით უფრო და უფრო აშკარათ ჩნდება განსხვავება საზოგადოების სხვადასხვა შემადგენელ ნაწილთა შორის, უფრო და უფრო ვითარდება მათ შორის განხეთქილება. რამდენათ ერთი ნაწილი საზოგადოებისა უფრო და უფრო მდიდრდება, იმდენათ იმავე საზოგადოების უმეტესობა სულ უფრო და უფრო დატუდება. ამ გარემოებას მოსდევს ის, რომ თუ ერთ ნაწილს საზოგადოებისას საშუალება ეძლევა მუდამ ავარჯიშოს და განავითაროს თავისი გონება, სამაგიეროდ მეორეს ყოველივე საშუალება თავისი გონების სავარჯიშებლათ ეცლება ხელიდან, — ასე რომ თუ ერთ მხარეზე ვხედავთ გონებრივად უმაღლეს ხარისხამდე განვითარებულ პირთ, რომელთაც შეუთვისებიათ მთელი თანამედროვე მეცნიერება, პირიქით მეორე მხარეზე ვხედავთ უმრავლესობას, რომელიც მოკლებულია უმარტივეს, მაგრამ იმავე დროს უსაჭიროეს, საშუალებას სწავლა-განათლების შეძენისათვის. ე. ი. წერა-კითხვას. ამნაირათ, საზოგადოების ამ ორ ნაწილს შუა ნამდვილი უფსკრული ძეგს. მაგრამ ამ გვარი მდგომარეობა ვერ გასტანს დიდ ხანს; ასე იქნება თუ ისე, იმას უსათუოთ უნდა მოელოს ბოლო სწავლა-განათლების და საზოგადოთ კულტურულ შენაძენათ უფრო სამართლიანათ განაწილებების მეოხებით. როდის ან როგორ მიხსნეს კაცობრიობა ამ მდგომარეობას, ჩვენ ამ კითხვის განხილვაში აქ ვერ შევალთ. როგორც ზევით ვამბობდით, ჩვენ გესურს აქ მკითხველის ყურადღება მივაქციოთ ერთ გარემოებას, რომლის საშუალებით თანამედროვე საზოგადოების განათლებულ ნაწილს, ე. ი. იმ ნაწილს, რომელსაც ჩვეულებრივად უწოდებენ ინტელიგენციას, სურს გაუმკლავდეს ხალხის უმეცრებას; ჩვენ ვლაპარაკობთ სახალხო ვითსეულებზე ანუ ლექციებზე. რომ სახალხო ლექციები ერთობ სასარგებლო მოვლენაა თანამედროვე ცხოვრებაში, ამაში, ვგონებთ, ეჭვს არაფერ არ შეიტანს, გარდა იმისა, ეინც ხალხის უმეცრებას თელის აუცილებელ საჭიროებათ ხალხის კეთილდღეობისათვის. ჩვენ შევნიშნავთ აქ მხოლოდ, რომ სახალხო კითხვები, საზოგადოთ სასარგებლონი, სრულდებთ არ ჩაითვლებიან ერთ-ერთ იარაღათ ანუ

საშუალებათ იმის მოსასპობათ, რასაც მათი საშუალებით ებრძვიან; ყოველ შემთხვევაში ეს მოვლენა საინტერესოა იმ მხრითაც, რომ ჩვენ ეს გარემოება ნებას გვაძლევს შევეგნოთ, რომ აწინდელი ცხოვრების ვითარებით თვით მაღალი, ოფიციალური კლასის წარმომადგენელნიც არ არიან კმაყოფილნი, და ამ თავის უკმაყოფილებას ისინი ხანდისხან აცხადებენ სხვადასხვანაირათ. ამის შესანიშნავ და შეიძლება ძლიერ იშვიათ მაგალითს წარმოგვიდგენს სახალხო კითხვების ისტორია რუსეთში.

ახლანდელ სახალხო კითხვებს გრძელი ისტორია არა აქვს რუსეთში. ამ საქმის პირველი ინიციატივა ეკუთვნის ბ. გვოზდევო-გოლენკოს, რომელმაც 1871 წელს ცნობილ პეტერბურგის ობერ-პოლიციმისტერს ტრეპოვს წარუდგინა მოხსენება სახალხო კითხვების აუცილებელი საჭიროების შესახებ იმ მიზნით, რომ სატახტო ქალაქის მუშა ხალხი გადაარჩინონ სიმთვრალეს. ამის გამო ღენ. ტრეპოვმა მიართვა იმპერატორ ალექსანდრე მეორეს ერცელი მოხსენება, რომელშიაც ის ამბობდა, რომ ხელმწიფეს არა ერთხელ გამოუთქვამს ლოთობის წინააღმდეგ საჭირო ზომების მიღება; მაგრამ, სამწუხაროთ, არავითარი ზომა არ შეეღის ამ გამანადგურებელ სენსაო. ტრეპოვის აზრით, ერთ-ერთი საშუალება, რომლის მეოხებით შეიძლება შემკირდეს ქალაქში ლოთობა და სხვა ცუდი ჩვეულებანი, იქნება იმის ზნეობრივად და გონებრივად ამაღლება. ერთი ამნაირი ზომა იქნება სახალხო კითხვების გამართვა, რომლებიც ადვილათ და გასაგები ენით უნდა აწვიდდეს ხალხს მისთვის საჭირო და სასარგებლო ცნობებს. ამ მოხსენების შედეგი იყო უმაღლესი ბრძანება კომისიის შედგენის შესახებ გენ. ტრეპოვის წინადადების განხილვათ. ეს კომისია შედგა და დაიწყო თავის მოქმედება იმავე წელს დეკემბერში. გენ. ტრეპოვმა ამ კომისიას ცალკე წერილში განუმარტა უფრო ერცელათ თავის მოსაზრებანი ამ საქმის შესახებ, საიდანაც, სხვათა შორის, ეტყობულობთ, რომ პირველი სახალხო კითხვა გამართავს რუსეთში 1869 წ. სამხედრო სასწავლებლების უმაღლეს გამგეობას სალდათებისათვის, რასაც შესამჩნევი სარგებლობა მოუტანია.

ხსენებულმა კომისიამ თავის მხრით განმარტა: 1) რომ სახალხო კითხვების გამართვის საქმე ეკუთვნის სახალხო განათლების სამინისტროს უწყებას, და ამიტომ პირდაპირ ხსენებულ სამინისტროს უნდა ექვემდებარებოდეს, და 2) ამ უკანასკნელსევე ეკუთვნის იმ კითხვის გადაწყვეტა, შესაძლებელია თუ არა და რა პირობების ძალით, რომ ამ გვარი კითხვები ნებადართულ იქნან, როგორც ზომა მართებლობისაგან

მიღებული გარყენილების და ლოთობის წინააღმდეგ. ამის მიხედვით კომისიამ შეიმუშავა პროგრამა და იმავე წლის 28 დეკემბერს დაიწეს სახალხო კითხვები. სამ წელს შემდეგ, 1874 წ. სასარგებლო წიგნების გამავრცელებელმა საზოგადოებამ მოსკოვში დააარსა კომისია სახალხო კითხვების საწარმოებლათ. დაახლოებით იმავე დროს რამდენსამე ადგილს გამართეს კიდევ სახალხო კითხვები. მაგრამ ეს იყო მხოლოდ კერძო პირების თავისნობით გამართული, და არაერთი კანონიერი საფუძველი მას არ ჰქონებოდა. პეტერბურგის გარდა სხვა ადგილებში სახალხო კითხვების გამართვის ნება გაჰოვიდა მხოლოდ 1876 წ. ამ წლის კანონის ძალით „სახალხო კითხვების გამართვაზე გუბერნიის ქალაქებში ნებას აძლევს, საზოგადოებათა და კერძო პირთა თხოვნით, სამოსწავლო ოლქის მხრუნველი წინდაწინ შეთანხმებით ადგილობრივ გუბერნატორთან, და სახალხო კითხვები პირდაპირ ექვემდებარებიან სამოსწავლო ოლქის მხრუნველის განკარგულებას (§ 1); სახალხო კითხვების გამგეობა, ე. ი. მატერიალური მხარე უნდა იყოს იმ პირების ანუ საზოგადოებათა ხელში, რომლებიც ნება-რთვას თხოულობენ. მხედველობა უნდა იქონიონ კითხვებზე სახალხო სკოლების დირექტორებმა (§ 2); სახალხო კითხვები უნდა გაიმართოს უსათუოთ იმ სახლებში, სადაც სასწავლებელია და სხვა საზოგადო ან სახელმწიფო შენობებში. ფაბრიკებში და სხვა სამრეწველო შენობებში სახალხო კითხვები აკრძალულია (§ 4); ხალხს უნდა წაუკითხონ მხოლოდ ის წიგნები, რომლებიც მოწონებულია სახალხო განათლების სამინისტროის და უწმინდესი სინოდის მიერ (§ 5)“. აი ამ კანონის უმთავრესი მუხლების შინაარსი. ჩვენ ვერ შევალთ იმის განხილვაში, თუ რამდენათ ხელს უწყობს ეს კანონი სახალხო კითხვების წარმატების საქმეს რუსეთში; ვიტყვი მხოლოდ, რომ ბ. სტოროჟევის აზრით, ეს კანონი ახლანდელ მოთაწინილებას არც შეჰფერის და არც აკმაყოფილებს.

რაც შეეხება სახალხო კითხვების გავრცელების საქმეს რუსეთში, სწორეთ რომ ძლიერ სწრაფათ განვითარდა ეს საქმე. სულ რაღაც ოცო წლის განმავლობაში სახალხო კითხვები აღორძინდა თითქმის მიყრუებულ კუნძულებშიაც, ასე რომ ბ. სტოროჟევის სიტყვით: „სახალხო კითხვებმა მკვიდრი ნიადაგი შოიპოვეს პროვინციაში, რომელმაც გადააჭარბა სატანტო ქალაქებს ინტერესის გაძლიერებით და თვით საქმის მოწყობით ერთი მხრით და შესამჩნევი ზნეობრივი მსხვერპლის შეწირვით მეორე მხრით“. ჯერჯერობით შეუძლებელია საკმარისათ იმის დაფასება, თუ რა სარგებლობა მოუტანეს ხალხს სახალხო კითხვებმა, თუ რა სამსახური გაუწიეს საზოგადოებას იმ მუშაკებმა და მოღვაწეებმა, რომლებმაც იღვეს თავის თავზე სრულებით უეცრი ხალხის წინააღმდეგ-ლა ცოდნის შესაძენათ. ყველასათვის ცხადია, რომ ამ მოღვაწეთა სარბიელი საკმარისათ ფართოა, თუ რომ რაიმე დამაბრკოლებელი მიზეზები მათ არ შეაფერხებენ ამ გზაზე. ჩვენ კარგათ ვიცით, რომ საზოგადოებაში ბევრი იქნება უკმაყოფილო სახალხო კითხვებით, მაგრამ ის კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ სადაც კი გამართეს სახალხო კითხვები, იმათ ყოველგან შესანიშნავი წარმატება დაეტყოთ. რომ ნათლათ წარმოვიდგინოთ სახალხო კითხვების წარმატება, საჭიროა ვიცოდეთ, ერთი მხრით, თუ საზოგადოების რომელ ნაწილთან გვაქვს ამ შემთხვევაში საქმე, და მეორე მხრით, თუ რა არის სახალხო კითხვების საგანი, ე. ი. იყო რა საზრდას ანუ ცოდნას აძლევენ ისინი მაყურებელთ.

ნამდვილათ ვერ ჩამოვთვლათ იმას, თუ რომელი ნაწილი საზოგადოებისა ესწრება სახალხო კითხვებზე, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ამ კითხვების უპარველესი დანიშნულება იმაში მდგომარეობდა და მდგომარეობს დღემდის, რომ სინათლის შუქი მოჰქონოს საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც ყოველგვარ საშუალებას განათლების მისაღებათ მოკლებულია და უმრავლეს შემთხვევაში წერა-კითხვაც არ იცინა. თუ გადავთვლიერებთ სხვა და სხვა სახალხო კითხვების კომისიების ანგარიშებს, ჩვენ დავრწმუნდებით, რომ სახალხო კითხვებზე დამსწრეთა ნახევარი იმისთანებიდან შედგება, რომლებმაც წერა-კითხვა თითქმის სულ არ იცინა. დანარჩენ ნაწილმა ასე თუ ისე იცის წერა-კითხვა, მაგრამ ყველასათვის ცხადია, რომ უმრავლეს შემთხვევაში წერა კითხვის ცოდნა ძლიერ საეჭვო საზომია ხალხის სწავლა-განათლების დასაუხსებლათ. „პატარა იაპონია — ამბობს ბ. პარტუგალივი — ამარცხებს დიდ ჩინეთს და ჩვენ ეს გვიხარია, რადგანაც ვიცით, რომ ამით ევროპის ცეკლიზაცია ამარცხებს აზრის ბარბაროსობას. უფრო სასიხარუოა ევროპასთან ჩამორჩენა ჩვენთვის, როდესაც მის გვერდზე ეცხოვრებთ ავერ რამდენიმე საუკუნეა. მთელმა ჩინეთმა იცის წერა-კითხვა, რა აკვირვებლია, თავისებურათ. ყველა სამხედრო იარაღები მას გადაღებული აქვს ევროპიდან, მაგრამ მისი გული ბარბაროსულია, შიგნით ის სულ დამაბალია, და გარეგნობამ ვერ იხსნა ის დამარცხების და დამცირებისაგან. მაშასადამე, წერა-კითხვის გავრცელება და ამაზე გაჩერება საკმარისა არ არის. საჭიროა სახალხო განათლების ისე წინ წაყვანა, რომ ხალხმა მოიპოვოს მკვიდრი ნიადაგი და გამებღავათ და დამოუკიდებლათ გაუძღვეს თავის საქმეებს“. ვინც საკმარისათ იცნობს

ნამდვილათ ვერ ჩამოვთვლათ იმას, თუ რომელი ნაწილი საზოგადოებისა ესწრება სახალხო კითხვებზე, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ამ კითხვების უპარველესი დანიშნულება იმაში მდგომარეობდა და მდგომარეობს დღემდის, რომ სინათლის შუქი მოჰქონოს საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც ყოველგვარ საშუალებას განათლების მისაღებათ მოკლებულია და უმრავლეს შემთხვევაში წერა-კითხვაც არ იცინა. თუ გადავთვლიერებთ სხვა და სხვა სახალხო კითხვების კომისიების ანგარიშებს, ჩვენ დავრწმუნდებით, რომ სახალხო კითხვებზე დამსწრეთა ნახევარი იმისთანებიდან შედგება, რომლებმაც წერა-კითხვა თითქმის სულ არ იცინა. დანარჩენ ნაწილმა ასე თუ ისე იცის წერა-კითხვა, მაგრამ ყველასათვის ცხადია, რომ უმრავლეს შემთხვევაში წერა კითხვის ცოდნა ძლიერ საეჭვო საზომია ხალხის სწავლა-განათლების დასაუხსებლათ. „პატარა იაპონია — ამბობს ბ. პარტუგალივი — ამარცხებს დიდ ჩინეთს და ჩვენ ეს გვიხარია, რადგანაც ვიცით, რომ ამით ევროპის ცეკლიზაცია ამარცხებს აზრის ბარბაროსობას. უფრო სასიხარუოა ევროპასთან ჩამორჩენა ჩვენთვის, როდესაც მის გვერდზე ეცხოვრებთ ავერ რამდენიმე საუკუნეა. მთელმა ჩინეთმა იცის წერა-კითხვა, რა აკვირვებლია, თავისებურათ. ყველა სამხედრო იარაღები მას გადაღებული აქვს ევროპიდან, მაგრამ მისი გული ბარბაროსულია, შიგნით ის სულ დამაბალია, და გარეგნობამ ვერ იხსნა ის დამარცხების და დამცირებისაგან. მაშასადამე, წერა-კითხვის გავრცელება და ამაზე გაჩერება საკმარისა არ არის. საჭიროა სახალხო განათლების ისე წინ წაყვანა, რომ ხალხმა მოიპოვოს მკვიდრი ნიადაგი და გამებღავათ და დამოუკიდებლათ გაუძღვეს თავის საქმეებს“. ვინც საკმარისათ იცნობს

რუსეთის ხალხს და მის ისტორიას, ის კარგათ მიხედება, თუ რა მნიშვნელობა აქვს ბ. პორტუგალიზის ზემო-მოყვანილ სიტყვებს. საქმე ის არის, რომ ეს ხალხი მეტის-მეტეი ცრუ მორწმუნეა, მას სრულეობით ცრუ წარმოდგენა აქვს თავის-თავზე და გარეშე ბუნებაზე; ამ მის ყოველად-უვიცობის სამწუხარო შედეგს ჩვენ ყოველ ფენის ნაბიჯზე ვხვდებით მის ეკონომიურათ დაქვეითებასთან ერთათ. მაგრამ ყველაზე უფრო ჩანს ეს სხვა-და-სხვა დიდი უბედურობის დროს, როგორც, მაგ., შიმშილობის და ხოლერობის დროს, როცა ხალხის უვიცობა ეწინააღმდეგება მართებლობის და კერძო პირთა ყოველ გვარგონიერ განკარგულებათა. ჩვენ აქ ადგილი ნებას არ გვაძლევს უფრო დაწვრილებით შევეხვით ამ საგანს. საქიროა აღენიშნათ აქ მხოლოდ, რომ სახალხო კითხვების მოთავეთ სწორეთ აი ეს ხალხის უვიცობა აქეთ სახეში და სურთ იმის სრულეობით მოსპობა თუ არა, შემცირება მაინც.

ამ მიზნის მისახწევათ სახალხო კითხვების საშუალებით უნდა შევანებინონ ხალხს, თუ რა არის სახელმწიფო, საზოგადოება, ბუნება, რომლის გველენის ქვეშ ის იმყოფება. ამნაირი პროგრამა ამ ქამათ ჩვენთვის იდეალურათ ჩათვლება. ამის უნაკლულათ განხორციელებას ხელს უშლის მრავალი გარეგანი გარემოებანი. მიუხედავთ ამისა დღემდის სახალხო კითხვებს უმეტეს შემთხვევაში პათიონათ უქერათ თავისი წმიდა დროშა და ყოველგან შესანიშნავი თავ-გამოდებით ემსახურებიან თეიანთ მიზანს. რასაკვირველია ჩვენ სახეში არა ვვაქვს აქ ის შემთხვევები, როცა ვამჩნევთ ამ მაღალ დანიშნულებიდან გარდახვევას...

ახლა რამდენიმე სიტყვა სახალხო კითხვების თბილისის კომისიაზედაც. თბილისში მეექვსე წელიწადია, რაც სახალხო კითხვები იმართება. ეს აზრი დაიბადა ადგილობრივი ინტელიგენციის ზოგიერთ წარმომადგენლებში 1890 წელს, გაზაფხულზე, და ამავე წლის 6 მაის გაიმართა პირველი სახალხო კითხვა. როგორც ეტყობულობთ ანგარიშიდან 1890 — 1895 წლების განმავლობაში თბილისში სულ გაუმართავთ 95 კითხვა, რომელზედაც დასწრებია 11,427 კაცი. ორთა შუა რიცხვით თითოეულ კითხვას ესწრებოდა 125 კაცი. აქვე უნდა შევნიშნათ, რომ ამ 125 უმეტესი ნაწილი მოსწავლეები, სალდათები და სხვა გარეშე პირები არიან; ადგილობრივი ხალხი სულ მცირეა. საზოგადოათ უნდა შევნიშნათ, რომ თბილისის კომისიას სხვა სახალხო კითხვების კომისიებთან შედარებით საკმარისი ინტერესი ვერ აღუძრავს ადგილობრივ საზოგადოებაში. რით აიხსნება ეს გარემოება? ცხადია, რომ მართო კით-

ხვების გამართვა არ არის აქ საკმარისი; საქიროა კიდევ, რომ სხვა გარემოებასაც მიექცეს ჯეროვანი ყურადღება. ყველამ კარგათ ვიცით, თუ რა არსებითი განსხვავება არსებობს რუსეთის შიდა გუბერნიის ქალაქებსა და თბილისს შორის; თუ იქ სრულეობით საკმარისია სახალხო კითხვებზე ერთი ენის ხმაზე, აქ ეს შეუძლებელია, რადგანაც ის ნაწილი საზოგადოებისა, რომლის გონების განათლებას ელტვიან კითხვების საშუალებით, სრულეობით მოკლებულია იმ ენის ცოდნას, რომელზედაც აქ კითხვები იმართება. აცილებენ თუ არა შემდეგში ამ ნაკლს ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენელი? — არ ვიცით. რაც შეეხება თბილისის სახალხო კითხვების შინაარსს, უნდა ვთქვათ, რომ ადგილობრივი ხალხის მოთხოვნილებას ვერც ის შეესაბამება გარდა ბუნების მეტყველების განყოფილებისა.

მ.



რძისა და რძის ნაწარმოებთა გამოყენის შესახებ.

მვირას, 6-ს ოქტომბერს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგურში გახსნეს რძის და რძის ნაწარმოებთა გამოფენა. კურთხევაზე დაესწრო დიდ ძალი ხალხი. ამ გამოფენის გამგეებისაგან ბევრი სიტყვა იყო წარმოთქმული სხვათა შორის იმაზე, თუ რა ძნელია ჩვენში რაიმე ნაწარმოებთა გამოფენა და მეტადრე რძისა.

მართლაც უცხო თვალი აქ ბევრს ევრას ნახვდა, — ჩამწკრივებული იყო ყველები ზედ წარწერით: ოსური, თუშური, იმერული სულგუნი, მოთალი და გათაედა საქმე...

კავკასიის მდიდარ ბუნების, რომელსაც, მეტადრე ქართლში, თვალ-გაუწვდენელი ნოყიერი საძოვარი მიწდებრები აქვს, ამისთანა ნაწარმოების სიღარიბე კაცს დიდ საკუნებელში ჩაავდებს. სად არიან ჩვენი მემამულენი? სად არი მათი ნაწარმოები? იქნება თითონ ვერ ჩამოსულან, რადგან ერთხლის მეტათ ვერ ჩამოვლენ და ამ ერთხელაც უსათუოთ ბანკისთვის უნდა ჩამოვიდენ, რადგან ხან მამული აქეთ დასავირავებელი და გადასავირავებელი, ხან ამოსარჩევი ჰყავთ ვინმე, იმათი ხათრით და დეალებით უნდა დაესწრენ კრებას და რძის ნაწარმოებთა გამოფენისთვის რას მოიცლიან.

ეს კიდევ არაფერი, რომ ჩვენი მემამულეები არ დაესწრენ, იქნება ვისაც საწველი ბლომათა აქეთ და მისი წარმოებაც კარგათ მიჰყავთ მათი სული აქ

ტრიალებს? არა, არც აქა ჩანს მათი გამრჯელობა, მათი მამულის გამოყენება. (გამოფენაზე მხოლოდ ერთ ქართველს, კეხელს, გამოუვხავნია თავისი ფერმიდან ყველება.) რას მივაწეროთ ამისთანა დაუდევრობა! ნუ თუ ჩვენი მემამულეები ისე დამქიმებული არიან მამულით, რომ სანამ არ მოიშორებენ მას, სულ არ გადააგირავენ და არ გაყიდიან არ დაადგებიან რაიმე საქმეს! ერთხელ ვკითხე ერთ მემამულეს: „რა ნება გაქვთ, რომ მამა-პაპეულ მამულს ჰყიდიოთ?“ - ის ნება გვაქვსო, მაპასუხა, რომ ახლა სხვა დრო დაგვიდგა, ჩვენ შეილებს მიწა პურს არ აქმევს, უნდა ისინი გაეზარდოთ და ფული მიტომ გვინდაო“.

მასულები გვეცლება ხელიდან და ყმაწვილ კაცებს კი (აქ იგულისხმეთ თავდაზნაურები) იშვიათათ ეხედეთ, რომ თავისი განათლებით პური ექამოთ. დიდ ძალი რიცხვი ყმაწვილ კაცებისა მესამე და მეოთხე კლასებიდან გამოსული არიან და რას აკეთებს უმეტესი მათგანი? ამის პასუხი, ჩვენ და საუბედუროთ, ყველამ იცის. მოიგონეთ შარშან სამსჯავროში რომ პაპალოვის ქალის საქმე ირჩევოდა. ბადიშს ვიხსნი, რომ ავცილდი საკანს. რძის წარმოება არც აგრე ძნელია და არც ბევრ ფულს მოითხოვს, მხოლოდ ადამიანს უნდა სიყვარული ჰქონდეს შრომისა და მტკიცე ხასიათი. აქ ერთს მაგალითს მოვიყვან, რომელმაც მე თითონ გამაოცა.

ერთ მდიდარ მოიჯარადრეს ჰყავდა ქალი დიდ ფუფუნებაში და აზაზობაში გახდილი, როდესაც ქალი 17 წლისა შესრულდა მის მამის ბედი უკუღმა დატრიალდა და არა თუ მთელი თავისი შეძლება დაჰკარგა ამ კაცმა—სახლის ავეჯიც კი გაუყიდეს ელებში. იცით მერე ქალმა რა ქნა? რაც საკუთარი ნივთები ჰქონდა გაჰყიდა და წავადა მოსკოვში. მგონი ერთი წლით, მიებარა ევრესჩაგინის ქარხანაში, შეისწავლა რძის წარმოება და დაბრუნდა თუ არა, აიღო 12 წლით იჯარით ყაზანში სახელმწიფო საძოვარი ადგილები, მიეკვდლა იქაურ სოფლელებს და მათი დახმარებით ისე წაიყვანა საქმე, რომ სოფლელებსაც არგო, იჯარასაც გაუძღვა, თავსაც ინახავს და ერთი ხელი დედ-მამისკენაც აქვს. ეს ქალი ენახე გამოფენაზე და გულ-ნატყენათ შემოიჩილა: ავერ მოვასწარ გამოფენისთვის მომეტანა მეც რძის ნაწარმოებია“.

ვისურვებთ რომ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას თავიდან ავცილებინოს დაბრკოლებანი და ხშირათ გაემართოს ამგვარი გამოფენა.

სახლგარ-გარეთ არა თუ რძის ნაწარმოების, ყოველ კვარი შინაური ფრინველისა და საქონლის გამოფენა თითქმის ყოველ სოფელში ხდება; საუკეთესო

სო საქონელს, საუკეთესო შინაურ ფრინველს აჯილდოებენ. ხშირათ იტყვიან: „ეს იმ ცხრის ჩამომავალია, რომელმაც ჯილდო მიიღო.“

ტ.



სხვა-და-სხვა ამბავი.



ელვგრამით აცნობებენ „НОВ. ОБОЗ.“-ს უსიამოვნო ამბავს შესახებ ქუთაისზე რკინის გზის გაყვანის თაობაზე. პეტერბურგში კომისიას გზათა მინისტრის ამხანაგის—გენერალ-ლეიტენანტის პეტროვის თაემჯდომარეობით უარი შეჰპოუთელია ქუთაისის მცხოვრებლების თხოვნაზე.

* *

ვაშინგტონის ეპისკოპოსს გამოუვხავნია 20 მან. „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისათვის“, რომ მან მოხმაროს რომელიმე ბავშვის აღსაზრდელათ. ამ საზოგადოების მმართველობამ გადაწყვიტა გაეგზავნოს ვაშინგტონში მალღობა ინგლისურათ და ქართულათ.

* *

ჩვენ შეეიტყეთ, რომ დღეს კვირას ნაძალადეგში მართავენ სცენის მოყვარენი ქართულ წარმოდგენას გრ. ჩარკვიანის სახლში. წარმოდგენა დაიწყება საღამოს 5 საათზე.

* *

კახეთში აღმოუჩენიათ ვაზის ახალი აუთმყოფობა—ბლეკოტი, რომელიც ფილოქსერაზე ნაკლები მტერი არ იქნება ვაზისა. ამ სენის გამოსაკვლევათ გაგზავნეს აკრონომი სტაროსელსკი.

* *

ნავთი ბაქოში შედარებით აღრინდელ წლებისა ნაკლები ამოდის. მარიაპოლისტეში (1896 წ.) გამოიტანეს 41,721 ათასი ფუთი. რვა თვის განმავლობაში წელს გამოიტანეს 216,973 ათასი ფუთი. შარშან კი რვა თვის განმავლობაში ნავთი გამოიზიდეს 222,536 ათასი ფუთი, ასე რომ შარშანდელზე 5,563 ათასი ფუთით ნაკლები ამოსულა.

* *

ამ კვირეში კავკასიის სამეურნეო საზოგადოების დარბაზში რძის გამოფენის დროს რამდენიმე სა-

უბარი იყო გამართული მეურნეობის შესახებ, რა-
ზედაც ბევრი ხალხი ესწრებოდა. პრაგმა საუბრი-
სა წინდაწინვე იყო შემუშავებული და ენებოდა სხვა-
და-სხვა სამეურნეო საკნებს. ერთი ამ საგანთაგანია
უეჭველათ რაიმე საშუალების გამოძენა საქონლის
ქარის წინააღმდეგ. 9 ოქტომბერს ამ საგნის შესახებ
ჰქონდათ სამეურნეო საზოგადოებას სჯა და უპრაე-
ლესობამ სურვილი განაცხადა, რომ ამიერ-კავკასია-
შიაც შემოღებული იქნას 1879 წლის 3 ივნისის
კანონი, თუმცა ამის განხორციელებას ჩვენში ბევ-
რი დაბრკოლება გადაელობება წინ. ეს კანონი იმა-
ში მდგომარეობს, რომ, როცა საქონელი გადამდ-
ები ქირათ ხდება ავით, ის უნდა მოჰქონდეს და პატ-
რონს მისი ფასი მისცენ. ამ საგნის შესახებ საინტე-
რესო მოხსენება წარმოადგინა ბ. ლისნეცკიმ. თავის
მოხსენებაში ბ. ლისნეცკი პირველათ ამბობს საქონ-
ლის ქირის (ეპიზოატის) გავრცელების შესახებ აზი-
ის რუსეთში და შემდეგ ამიერ-კავკასიაში, სადაც
საქონლის ქირის ხელს უწყობს ჰაერის პირობები. ყვე-
ლაზე უფრო ვრცელდება საქონლის ქირი ბაქოს და
განჯის გუბერნიებში. უნდა შევნიშნათ, რომ სა-
ქონლის ქირი ვრცელდება ჩვენში უფრო იმიტომ,
რომ სპარსეთიდან და ოსმალეთიდან გაუშინჯავით
მოჰყავთ საქონლის ფარა ჩვენსკენ; ამას გარდა ად-
გილობრივი მცხოვრებნი ხვარობენ ქირიან საქონ-
ლის ტყავს ფესსაცმელათ და აგრეთვე ადგილ-ად-
გილ ხორცსაც საქმელათ და არაერთარ ზომას
არ ხმარობენ, რომ ავითმყოფი საქონელი დროებით
მანც მოაშორონ საღ საქონელს. ყველა ამ მოსახ-
რებას შემდეგ კრებამ გადაწყვიტა სხვა და-სხვა რადი-
კალური ზომების მიღება საქონლის ქირის მოსას-
პობლათ. ვისურვებთ, რომ მარტო ქალაქებზე არ
დარჩენილიყოს ეს ზომები.

* *

გაზ. „Кавказ“-ის სიტყვით 8 ოქტომბერს პო-
ლიციის მეოთხე განყოფილების სამმართველოში მი-
სულა თელავის მცხოვრები მ. კიკნაძე, რომელსაც გა-
მოუცხადებია, რომ თბილისის მცხოვრებმა მ. ვარძი-
ლოვმა შეაძლია მას საყიდელათ ათასი მანეთის ყალბი
ფული. ვაიკო თუ არა ეს პოლიციის მოხელემ სა-
ყვარელიძემ, წაიდა კათოლიკების სასაფლაოზე, სა-
დაც დანიშნული იყო ნამდვილი ფულის გაცვლა
ყალბ ფულზე. იქ მას დახედა სამი პირი, სა-
ხელდობ: კიკნაძე, ვარძილოვი და დუშეთის მაზრის
მცხოვრები დავით ხეთულეშვილი, რომლებიც მაშინ-
ვე დაიჭირა. გაჩხრკის დროს ვარძილოვს და ხეთუ-
ლეშვილს უნახეს ყალბი ვერცხლის მანეთიანი და
ერთი ქალაქისა. ამ პირთ თურმე წინათაც ჩაუ-

დენიათ ამ გვარი დანაშაული, რისთვისაც ციხეშიაც
მჯდარან.

* *

ამ ოთხი თვის წინათ დაარსდა თბილისში ქართ-
ველთა სააღმ-მიცემო აზნანავობა „შუამავალი“,
რომელსაც, როგორც მის წესდებიდან ჩანს, მიზნათ
აქვს გამართოს აღმ-მიცემა იმ აზრით, რომ ერთის
მხრით მიაწოდოს კარგი საქონელი როგორც წერილ-
მან მყიდველებს, ისე ერთბაშათ მოვაჭრეებს გასა-
ყიდათ თბილისში და სხვა ადგილებში, მეორეს მხრით
მოუპოვოს ბაზარი ჩვენის ქვეყნის მოსახელს და ნა-
წარმოებს. საამხანაგოა წილი ღირს ერთ თემნათ—
ამხანაგს შეუძლია რამდენი წილიც სურს, იმდენი
შეიძინოს. წილის ფასის სიმცირე ყველას მისცემს
შეძლებას მიიღოს მონაწილეობა ამ ამხანაგობაში
და ამნაირათ ხელი შეუწყოს ამისთანა სასარგებლო
დაწყებულებას. ამხანაგობას არჩეული ჰყავს დროები-
თი გამგეობა და კონტროლი, რომელთაც ამ ცოტა
ხანში უკვე შეუდგენიათ 200-მდე მოწილე და 3000
მანეთამდე ფული. დროებით გამგეობას გადაუწყე-
ტია მოქმედება დაიწყოს 1 იანვრიდან 1897 წლისა,
რასაკვირველია, არა ისე ფართოთ, როგორც სურ-
ვილი აქვს, არამედ მცირე ვაჭრობით—საბაკალო
მალაზიის გახსნით. გამგეობას, სრულიად სამართლი-
ნათ, იმედი აქვს, რომ ქართველთა შორის ბევრნი
აღმოჩნდებიან ამხანაგობის მიზნის თანამგრძობელნი
და გახდებიან მოწილეთ, რითაც შეძლებას მისცემენ
მას თავისი დანიშნულება მალე სრულებით გაახორ-
ციელოს.

ქალაქს გარეშე მოწილეთაგან საწილო ფულის
მიღება მინდობილი აქვთ გამგეობისგან, ქ. ბათუმ-
ში: ივანე დავითის ძე კაკაბაძეს, განჯაში: სიმონ
კალანაძეს და სოლომონ დოლიძეს.

* *

შავი ქვის (მარგანცის) წარმოება: მარიამობის-
თვის პირველიდან ენკენისთვის პირველამდე ბათუმი-
დან გაიტანეს გერმანიაში: 87,800 ფუთი შავი ქვა
ღირებული 26,300 მან.

ფოთიდან გაიტანეს ინგლისში: 167,400 ფუთი
ღირებული 40,170 მ., გოლანდიაში: —1,002,390
ფუთი ღირებული 240,573 მან., შიდა რუსეთში:—
217,265 ფუთი ღირებული 52,143 მან. საქარ-
თველოდან შავი ქვა მარიამობისთვეში სულ გატანი-
ლა 1,474,855 ფუთი ღირებული 359,195 მან.

* *

თბილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოების

მსესხებლებს გაუგზავნათ საჩივარი, რომ უკანასკნელი ამორჩევანი წესიერი არ იყო. ამის პასუხათ მოუვიდათ, რომ მართალია ჩანს უკანონობა არჩევანის შესახებ, მაგრამ ეგ საქმე უნდა სასამართლომ გაარჩიოს და არა ჩვენა.



უტურნალ-გაზეთებიდან.

ფრანგული გაზეთი „Journal des Débats“ ურჩევს ფრანგებს: ვისაც ქალი ეყოლება ღვინობისთევში ყველამ ოღვა დაარქვას პატივსაცემათ მთავრინა — კნიაჟნა ოღვასიო.

* *

მწერალი ნ. კ. მიხაილოვსკი ამბობენ მძიმეთ ავთ გამხდარა და სამხრეთ რუსეთში წასულა.

* *

ყაზანის უნივერსიტეტში ამ სამოსწავლო წელს მიუღიათ 189 სტუდენტა, მათ შორის 25 სემინარიელია, რომელნიც მიღებულნი არიან სახალხო განათლების მინისტრის განკარგულებით, მიუხედავთ გიმნაზიის ატესტის უქონლობისა.

* *

ოსმალეთა. კონსტანტინოპოლიდან დეპეშით ატყობინებენ ვაზ. „Times“-ს, რომ ათ ოქტომბერს გამოვიდა სულთანის ირადე (ბძანება), რომლის ძალით ის რეფორმები, რომლებიც მიენიჭათ ექვს ანატოლიის გუბერნიებს (ვილაიეტებს) წარსული წლის ოქტომბერში, ვრცელდება მთელ სახელმწიფოზე. რეფორმების ახალ ტექსტში რამდენიმე ახალი ცვლილებაა. იმავე დღეს დიდ სახელმწიფოთა ელოჩებმა პორტას მიმართეს წერილებით კუნძულ კრიტის მდგომარეობის შესახებ, რადგანაც პორტამ არ განახორციელა დაპირებული რეფორმები. ინგლისის გაზეთების სიტყვით, სომხებს ატუსაღებენ ამ ქაშათაც, სულ უბრალო მიზეზის გამო. რადგანაც საგანგებო სამსჯავრო, რომელიც დაარსეს სომხების გასასამართლებლათ, ვეღარ აუღიოდა საქმეებს, ამიტომ ამ დღეებში დააწესეს მეორე სამსჯავრო. ორივე ეს სამსჯავრო მეტათ პირობითებით ექცევა სომხებს. იმ მაჰმადიანებს, რომლებსაც თათრების ახალი პარტიის მოქმედებაში მონაწილეობის მიღებას ამჩნევენ, იჭერენ და გზავნიან მცირე აზიაში.

სომხების სამღვდლოებამ არ მოაწერა ხელი ახალ ადრესის პროექტზე, რომელიც სულთანისათვის უნდა მიერთმიათ და რომელშიაც რევოლუციონური მოქმედება იყო გაკაცებული.

* *

ოსმალის მმართველობას მიუხედავ, როგორც იუწყებიან ლონდონიდან, თავის ელჩისთვის ლონდონში, რომ მან საჩივარი დაიწყო გლადსტონის წინააღმდეგ, რადგან ამ უკანასკნელს სახალხო სულთანისთვის „აკაცის მკვლელი“ უწოდებია.

* *

ვაზ. „Indépendance Belge“-ს წერენ ლონდონიდან, რომ აღმოსავლეთის საქმე ახლო მომავალში ახალ მიმართულებას მიიღებსო. რუსეთის ელჩს ლონდონში ჰქონებია ხანგრძლივი მოლაპარაკება მარკოზ სოლისბერისთან. უმაღლეს მთავრობაში ხმა ისმის, რომ რუსეთი, ინგლისი და საფრანგეთი შეთანხმდებიან აღმოსავლეთის საქმეში.

* *

ბერლინის გაზეთ „Post“-ის სიტყვით, პორტას ყოველ გვარი შემოსავლის წყარო დაეწმო. იკონებენ სხვა-და-სხვა ზომებს ხაზინის შესავსებლათ. გადაუწყვეტიათ: მაღალ ხარისხოვან მოხელეთ დაუჭირონ ჯამაგირიდან 50%, მაგრამ ამ ნაირი ეკონომია წვეთია ზღვაში. ოტომანის ბანკს სურს აიღოს ახალი სესხი, მაგრამ იმ ნაირი პირობები აქვს, რომლებზედაც სულთანს არ თანხმდება. ის ვალი, რომელიც სერბიას, ბოლგარიას და ჩერნოგორიას მართებს, სულთანმა აქამომდე ვერ მიიღო. დარჩენილა ერთი საშუალება — ასიგნაციების გამოშვება, რაც, რა თქმა უნდა, საბოლოოთ გააკოტრებს სახელმწიფოს.

* *

ისპანიის სამინისტროს თავმჯდომარეს, კანოვას დეკასტილიოსთვის გამოუგზავნია წერილი კუბის კუნძულის ერთ ექიმს ქალაქ ნიუ-იორკიდან, რომელშიაც ემუქრება, რომ ისპანიაში მოვალ და მოვისევ მთელ ჯარს სხვა-და-სხვა ბაცილებიასაო, მოგიწამლავთ ჰაერს, წყალს და ხალხს გაგიწყვეტო, თუ რომ ისპანია არ გამოიცვლის თვის პოლიტიკას კუნძულ კუბას შესახებო.

* *

ინგლისი. 29 სექტემბერს გაიდ-პარკში მოხდა

დიდი სახალხო მიტინგი სათათრეთის უწყალო საქციელის წინააღმდეგ პროტესტის გამოცხადებლათ. კრებაზე დაესწრო 30,000 კაცი. ამ კრებაზე, სხვათა შორის, ჯონ ბერნსმა წარმოთქვა დაახლოებებით შემდეგი სიტყვა:

„დღეს, ვასრულებთ ჩვენ ვალს ჩვენი სუსტი მოძმეების წინაშე. ჩვენ ბევრი გეყავდა პოლიტიკოსები და მაკლერები. ჩვენ გვესაჭიროება ამ ქამათ



ჰუმანიური კაცები. ოდესმე ლონდონის მცხოვრებნი შემწეობას აძლევდნენ მაძინის, გარბალდის და ყველა იმათ, ვინც იბრძოდა სიმართლისთვის. მე დარწმუნებული ვარ, რომ ისინი (ლონდონის მცხოვრებნი) დღესაც ამოუჩენენ შემწეობას სომხებს. ადამიანები, როგორც ერნი, არა პურითა ერთითა ცოცხალ არიან. თუმცა მე თითონ არა ერთხელ გამოვსულვარ არსებითი პურის დასაცავათ, მაგრამ ახლა ვაცხადებ, რომ ამით დაკმაყოფილება იმას ნიშნავს, რომ ჩვენ მოქმედება აღარ შეგვიძლია და მხოლოდ ეგოისტურ თანმოყვარეობას მივსცემივართ; ჩვენი საქციელი გამოწვეულია ჰუმანიური გრძნობით. თავისუფალი ინგლისის ერი შეიკრიბა დღეს იმის სათხოვრათ, რომ დაიციენ ბავშვები, ქალები და მოხუცნი, და არა ახალი კოლონიები შეიძინონ“. კრებამ გადაწყვიტა გადაჭრილი ზომების მიღება სათათრეთის მართებლობის წინააღმდეგ.

* *

დიდი ხანია იკვლევენ მას, —ამბობს ერთი უნგრელი გაზეთი, თუ ვისი დაწერილია „მეფე ლირი“. ზოგი ამტკიცებს ბეკონმა დაწერაო და ზოგი კი შეკ.

სპირმაო, მაგრამ ამის გამოკვლევა არც აგრე ძნელია. ამ ზაფხულს ჩვენში ისე საძაგლათ წარმოადგინეს მეფე ლირი, რომ მისი ავტორი უსათუოთ კუბოში გადაბრუნდებოდაო, ამიტომ, საჭიროა მხოლოდ გაშინჯონ ბეკონი გადაბრუნდა თუ შექსპირი და ავტორის გამოიცნობენო (Новое Обозрение).



უ ც ხ ი ე თ ი დ ა ნ .

სოფელი და სასოფლო სკოლა გერმანიაში

II *)

ს კ ო ლ ა .




გვისტოს 20. დილის 8 საათია. სკოლაში მხოლოდ მეორე განყოფილებაა ე. ი. 8 და 9 წლისანი, სულ 40 შეგირდი. მარჯენივ სხედან ვაჟები; წინა სკამზე რვა წლისანი, უკანაზე

*) ის. „ჰეპალი“ № 41.

ცხრისანი, მარცხნივ ქალები, რვა და ცხრა წლისანი. კედელზე დანახავთ სამ დიდ ქართას სოფ. დობელის, ნოემბურგას მარისა და ვიურტემბერგისას, რაც მოწმობს, რომ ამათი გეოგრაფია იწყება თავის სოფლით და მარით და თავდება იმათი სახელმწიფოს საზღვრებით. ამას ესენი აღარ გასცილდებიან.

გაკვეთილია სამღეთო სფულო. ბავშვებს წინ უდევთ სამღეთო ისტორიის მოკლე სახელმძღვანელო. მასწავლებელი უხსნის იოსების გაყიდვის ამბავს. შემდეგ იმავ ამბავს ბავშვები წიგნში კითხულობენ, თითოეული თითო მუხლს (აქ ყველა სახელმძღვანელოს სტატიები და ლექსები დაყოფილია მუხლებათ ანუ კუბლებათ და აღნიშნულია ციფრებით), ასე რომ ყველას შეხედა წაკთხვა კითხვა გათავდა. მასწავლებელი აძლევს საზოგადო კითხვებს წაკითხულიდან, მარა ჯერ სურს წინა ამბებთან შეკავშირონ, რის გამო წარსული გაკვეთილი მოაგონა. — რამდენი შეილი ჰყავდა იაკობს? პასუხი ერთ-ხმათ — 12. — ჩამოთვალეთ ერთ-ხმათ! ჩამოთვალეს. — რანაირათ ეპრობოდენ იოსებს? — მამას უყვარდა და ძმებს სძულდათ — მიუგო ერთმა. ეს წინა დღის ნასწავლია. აქ დღევანდელი წაკითხულიდან უნდა ჰკითხოს, მაგრამ ერთხელ კიდევ აკითხებს და შემდეგ აძლევს კითხვებს, განსაკუთრებით უფროსთ. პატარები ხანდახან ხელსაც აშვერენ, მარა არაინ ჰკითხავს. ეს გაგძელდა ოცი წუთი. შემდეგ იწყება არითმეტიკა. საანგარიშოა: 1×4 , 2×4 , 3×4 , 4×4 და ასე ასამდის. თითო კითხვაზე თითო უკებს. მასწავლებელმა ყველა ფეხზე წამოაყენა და ეკითხება: 5×4 , 5×5 და სხვ. ვინც ყველას დაასწრებს და მიუგებს, ის ჯდება, სხვები კი ფეხზე დვანან. ხშირათ რამდენიმე ერთათ მიუგებს ან და ტყუილს წამოიძახებენ, ამ შე-



მ ო რ დ ს მ რ დ შ ი ს ა ხ ლ ი.

მთხვევაში არაეის დაჯდომის ნება არა აქვს. ეს გაგრძელდა 5 წუთს. ყველას შეხედა საპასუხო. არაერთარი უწეს-რიგობა და აურ-ზაური. ბავში მიჩერებია, თუ რას იტყვის მასწავლებელი და როგორ სწრაფათ პასუხს მოისაზრებს. უჯრიდან დაფები ამოიღეს. რვა წლისანი გამოვიდენ და თითოეული საანგარიშოზე აცმულ რგოლებს ითვლის: ორი და ორი შეადგენს ოთხს, ოთხი და ორი — ექვს და ასე ათამდის. ახლა მეორე აგძელებს ოცამდის და ასე ასამდის იანგარიშეს. შემდეგ დაბრუნდენ თავიანთ ადგილზე და ამავე დაფაზე წერას შეუდგენ. ამ დროს განმავლობაში 9 წლისანი სულ უკან, მოშორებით, სხედან და კედელზე მიკრულ კლასის დაფისაგან თავიანთ დაფაზე საანგარიშოს იწერენ. აი, მაგ., 8048, 5423 და სხვ., ასეთი ციფრები უნდა შეაერთონ. მასწავლებელმა მითხრა ამნაირი შე-

მთხვევაში არაეის დაჯდომის ნება არა აქვს. ეს გაგრძელდა 5 წუთს. ყველას შეხედა საპასუხო. არაერთარი უწეს-რიგობა და აურ-ზაური. ბავში მიჩერებია, თუ რას იტყვის მასწავლებელი და როგორ სწრაფათ პასუხს მოისაზრებს. უჯრიდან დაფები ამოიღეს. რვა წლისანი გამოვიდენ და თითოეული საანგარიშოზე აცმულ რგოლებს ითვლის: ორი და ორი შეადგენს ოთხს, ოთხი და ორი — ექვს და ასე ათამდის. ახლა მეორე აგძელებს ოცამდის და ასე ასამდის იანგარიშეს. შემდეგ დაბრუნდენ თავიანთ ადგილზე და ამავე დაფაზე წერას შეუდგენ. ამ დროს განმავლობაში 9 წლისანი სულ უკან, მოშორებით, სხედან და კედელზე მიკრულ კლასის დაფისაგან თავიანთ დაფაზე საანგარიშოს იწერენ. აი, მაგ., 8048, 5423 და სხვ., ასეთი ციფრები უნდა შეაერთონ. მასწავლებელმა მითხრა ამნაირი შე-

ერთბა ახალი ნასწავლი აქეთ, მათთვის ახალია, მაგ., სამიდან ხუთის გამოკლება, რისთვისაც საჭიროა ერთი ათეულის სესხებაო. ბავშვებმა გადმოწერეს და ცარიელ მაგიდაზე მიიფანტ-მოიფანტენ, რომ ერთათ არ დამსწარიყვენ და ერთმანეთისაგან არ გადაწერა. ამნაირათ მთელი კლასი ანგარიშშია გართული, ჩვენ კი ემუხათობთ მასწავლებლობის, საკვირაო სკოლის, გასაგრძელებელი სკოლის და სხვა ამისთანების შესახებ. ბავშვებმა გააკეთეს და გასასწორებლათ გამოაქეთ, ზოგს ჩემთან, ზოგს მასწავლებელთან. მე 15 გაუუშინჯე და შეცდომა მხოლოდ ერთს ჰქონდა, დანარჩენ 25-ში კიდეც ერთს. შესრულდა 9 საათი.

შემდეგი გაკვეთილია „ლამაზი წერა“. წიგნიდან იწერენ დაფაზე დანიშნულ კუბლეტს. ეს გძელდება ათ წუთს. დაფები ჩაალაგეს. გაკვეთილია „მართლ-წერა“. ეს დიკტანტია. 8 წლის ბავშვებმა ამოიღეს პატარა წიგნი, სადაც მოთავსებულია სამღეთო წერილის ამბები ლექსათ („Spruch—und Liederbuch“) და თავიანთების, ჩუმათ, ორ მიხენილ კუბლეტს კითხულობენ. უფროსთ წინ უდევთ „საკითხავი წიგნი“ (პირველი ნაწილი) და თითოეული ორგ-რიგათ, ერთი ლექსის თითოეულ წინადადებას ხმა მალლა კითხულობს. ჯერ ამოიკითხავს ერთათ ერთ სიტყვას, შემდეგ ამასვე ჩათელით და ასე ბოლომდის ორი კუმპლეტი ჩაათავს. ახლა იმასვე ერთათ ერთი ხმით კითხულობენ. ეს კითხვა დასრულდა, წიგნები შეინახეს, (ორივე განყოფილებამ). ამოალაგეს დაფები და ახლა პატარები შეუდგენ წაკითხული და გაზეპირებული ლექსის წერას, დიდებთან კი მასწავლებელი მივიდა და ხმა მალლა ეუბნება დასაწერ წინადადებას. წინადადება მოკლეა და შედგება არა უმეტეს სამი სიტყვისაგან. ეს იგივეა, რასაც ბავშვები წინათ კითხულობდენ. ასე დააწერინა ორი ნაცნობი კუმპლეტი. ამ დროს პატარებმაც გაათავეს და გამოიტანეს გასასწორებლათ. შეცდომით დაწერილი სიტყვები მრავალჯერ გადაწერეს. ახლა უფროსების გასწორება დაიწყო. მასწავლებელმა წაკითხვა დაწერილი ლექსი, როგორც ეწერა, შეგირდებმა თვალი ადევნეს დაფას და გამოტოვებული სიტყვები ან ნიშნები გაასწორეს. მერე ერთმანეთს დაფები გაუცვალეს და წიგნის საშუალებით გასწორება დაიწყო. გათავებისთანავე დაფები ისევ პატრონებს ჩააბარეს და მასწავლებელი შეეკითხა: ეის არ აქვს შეცდომა? 22-მა ხელი ააშვირა; ორს დაუტოვა ერთი შეცდომა, ოთხს ორი და ბოლოს დიდათ დარცხენილათ წამოღდა ერთი და განაცხადა თერამეტი შეცდომა მაქვსო. ეს უკანასკნელი შეგირდია—მითხრა მასწავლებელმა—ანაღილევს დადის ჩემთან და გან-

საკუთრებით ვასწავლი, მსურს თავის ამხანაგთ გაუთანაწოროყო. პატარებთაგანს 5-ს უშეცდომოთ დაეწერა, 5-ს ჰქონდა 1—2, 2-ს 2—3, 2-ს კიდეც 3—4 შეცდომა. თერთმეტის ნახევარზე სიმღერაა. იმღერეს უწიგნოთ სხვა-და-სხვა გასართობი საყმაწვილო ლექსები. ამათი სიმღერის სახელმძღვანელო შეიცავს ისეთ ლექსებს, რომელნიც ეცებიან ბუნებას, ცხოველებს და სხვ. აქ პატრიოტული არა ფერა. აი, ზოგ ლექსთა სათაური: „გაზაფული“, „მზე“, „ბავშვის ანგელოზი“, „ჩიტი“, „მამის“ და სხვ. 11 საათზე მეორე განყოფილება სახლში წავიდა. შემოვიდენ 7 წლისანი, პირველი განყოფილება. ჩვეულებრივ ამათი სწავლა იწყება უფრო ადრე, მარა მასწავლებელი გაერთო ჩემთან ლაპარაკში და ნახევარ საათით დაავიანდა. ახალ მოსულთა რიცხვია 24, ხელში უჭერიათ დაფა-გრებილი და ერთი წიგნაკი. დაიჭირეს თავიანთი ადგილები და მასწავლებელს მიესალმენ: გამარჯობა, ბნო მასწავლებლო! (ყველა განყოფილება ასე ესალმება). ესენი შემოსულან აპრილში, ცოტა წერა-კითხვა და 18 სასულიერო შინაარსის კუმპლეტი ზეპირათ დაუსწავლიათ (ზემო დასახლებული ლექსთა წიგნიდან). ახლა შეუდგენ მე-19 კუმპლეტის სწავლას. მასწავლებელი ძლიერ გარკვევით ამბობს ერთ წინადადებას, ბავშვები პირველათ ერთათ იმეორებენ, მერე სათითაოთ და ასე მთელი კუმპლეტი გაიზეპირეს. ამ დროს მე მასწავლებელს გამოვემშვიდობე მეორე ღღემდე. ბავშვები დარჩენ კიდეც ნახევარ საათს, 12 საათამდე.

21 აგვისტო. სკოლაში მცვედი 9¹/₂ საათზე. გაკვეთილია კითხვა. თითოეული თითო წინადადებას კითხულობს, ერთი პარაგრაფი სამჯერ გადაიკითხეს და მასწავლებლის კითხვებზე გარკვევით უკვებდენ. ბოლოს ხელ-ახლა რიგ-რიგათ წაკითხეს. 10 საათზე სიმღერის გაკვეთილია. ამ დროს შემოვიდა პირველი განყოფილება. მასწავლებელმა იმათ გვერდით კედელზე მიკრულ დაფაზე ერთი ასო დაუწერა; ისინი დაფაზე წერდენ. დიდები გავიდენ წინ, მათ შუაში ჩადგა მასწავლებელი თავისი სკრიპკით და შეუდგა ახალი სიმღერის სწავლებას. აი, სიმღერის გადაცემა: ბავშთ მისცა ხმა „ლალა“, რომელსაც აყოლებენ სკრიპკის ხმას ჯერ ყველა ერთათ. რამდენიმეჯერ, მერე სათითაოთ; ზოგს ეშლება, ზოგს არა. ახლა მასწავლებელმა დაფაზე დაწერა შემდეგი ციფრები.

1	3	5	8	5	54	32
2	3	3	4	46	5	
5	8	8	76	5	6	5
5	6	56	3	2	1	

ციფრის პირველი რიგი უნდა იმღერონ „ლალას“ ხმაზე. ნიშანი უჩვენებს ორი ციფრის ჩქარა

„კვალის“ კორესპონდენციები.



სკეთი. როგორც სიღნაღის მაზრაში, აგრეთვე თელავის მაზრაში კარგა ხანია მას აქეთ, რაც ღვინის მოსავალი ხელს აღარ აძლევთ კახელ მემამულეებს; ამ გარემოებამ ძლიერ დააჯავრიანა ხალხი: ველარსად ნახავთ უწინდელ მხიარულებას. სადღა წინანდელი მეჯლისობა და წვეულებები სხვა-და-სხვა სამხიარულო სიმღერებით? წინათ, როცა ყურძნით საესე გოდარებს გამოზიდავდნენ, ჩაპყრიდნენ ნაევში და საწინახლებში მხიარულათ ერთი-ერთმანეთს აჩქარებდნენ: — აბა, ბიჭებო! ჩქარა დაწურეთ, დღევანდელი დაკრფილი ყურძენი ხელოსათვის არ დაგერჩესო. ზერებშიაც ყურძნის მკრფეფი დედაკაცები ერთი-ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. წელს კი აღარც არაეინ დაკრფვას ჩქარობდა, და აღარც არაეინ დაწურვას და ან კი რაღას უნდა დაჩქარებოდნენ, რაც საიმისო არაფერი იყო. აქ-იქ თუ სადმე გადურჩა სეტყვას და ნაცარს, იმას ერთიც მოერეოდა.

წლევანდელი რთვლობა სამწუხარო სანახავი იყო ყველასთვის და არა სამხიარულო.

ანლა გულ გატეხილი ხალხი ერთი-ერთმანეთს შეჩივის. — რა ვუყოთ და რით უწამლოთ ამოდენა ჭირსაო? ჩვენი ერთათ-ერთი წყარო და იმედი ვენახია, რომლისათვის მთელი წლის განმავლობაში ვალს ვიღებთ, იმის იმედით, რომ შომავალი მოსავალი ვალსაც გაასწორებს და ჩვენ შრომასაც დააჯილდოებსო; მაგრამ ეს იმედი გვიცრუვდება: არა თუ ჩვენი შრომისა და ტანჯვის ფასი, იმდენიც კი აღარ მოგვდის, რომ ხარჯი დაფაროს. ყოველ წლივ ვალი-ვალს ვმატება და ასე ვიღუბებით. ხარჯი თავისას თხოულობს; შეღავათი კი არსაიდან გვიჩანს. ერთი ჭირი რომ იყოს, იმას, როგორც იქნებოდა, კაცი უწამლებდა, მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ რამდენსამე ჭირს უნდა ვებრძოლოთ ერთ და იმავე დროს. სეტყვა, ნაცარი, ობი და გვალვა, — ყველა ერთი-ერთმანეთს ზედ დაერთო, და აბა გვითხარით, რომელ ერთს ვებრძოლოთ. უწინაც იცოდა ხოლმე სეტყვა, ნაცარი და გვალვა, მაგრამ ოცს წელიწადში ერთხელ ან ორჯელ, ანლა კი ყოველ წლივ. წინათ რომ გვალვიანი წელიწადი დაგვიდგებოდა ხოლმე, ვენახების ახლო ბევრი წყაროებიც ჩამოგვიდიოდა და ამითი ერწყავდით ვენახებს, ანლა კი ასეთი წყაროები ათასში ერთხანაც აღარსად გამოდის, თითქმის ყველგან დაშრა, მას აქეთ უფრო, რაც ჩვენებურმა ვეებატონებმა სოფლების ახლო-მახლო ტყეები სულ გადაკავეს და გადაჩეხეს. აბა, ვინ იფიქრებდა იმ დროს, რომ ტყეების გადაჩეხა

დიდ უბედურობას მიაყენებდა მცხოვრებლებს. წინათ რომ სახლის გვერდზე ჩამოუდიოდათ წყაროები, ახლა იმას ოთხ და ხუთ ვერსზე ველარა პოულობენ. რა არის ამის მიზეზი, თუ არ ტყეების განადგურება? განა მართო ეს?

ჩვენ ხალხს დიდი იმედი ჰქონდა „სეტყვისაგან დამზღველი საზოგადოების დაარსებისა“, ვფიქრობდით, ეგება ამ საზოგადოების წყალობით, რაიმე შეღავათი მოგვეცესო, მაგრამ ეს იმედიც გავიცრუვდა. როგორც მკითხველებმა იციან, ხსენებული საზოგადოება ისეთ პირობებს გვიდებდა, რომ თუნდაც დაარსებულყო, ვერაფერ დიდ სამსახურს გაგვიწვდა. სხვათა შორის, იმის პირობის ძალით აპრილის და მისის თვეებში სეტყვისაგან დაზარალებულის დახლვას ის არა კისრულობდა. ჩვენში კი უფრო ხშირათ ამ თვეებში ისეტყვება ხოლმე და ყველაზე მეტი ზარალი მაშინ ეძლევა მემამულეს.

აი, კიდევ ერთი სამწუხარო საჩივარი ჩვენი ხალხისა, რომელიც დიდი ხანია გამოთქმულა, მაგრამ ყურადღებას არაეინ აქცევს. ეს არის ექიმების უყოლობა და წამლების უქონლობა. წელს, სხვა წლებთან შედარებით, ავთ მყოფობა აქეთკენ ძლიერ უხირია, მთავალყურე ბევრ სამწუხარო სურათს წაატყდება, ბევრგან იტანჯებიან უექიმობით. მაგალითების მოყვანა საჭირო არ არის. მართალია, ქ. სიღნაღში და სოფ. ველისციხეში არის ორიოდ ექიმი, მაგრამ ისინი ადგილობრივ მცხოვრებლებსაც ძლივს წვდებიან და თუნდა მოიცალონ კიდევ საწყალ სოფლის ხალხს რა ხელს მისცემს იმათი მოწვევა, როცა თითო მათი ჩამოყვანა სოფლათ 10—15 მან. უჯდებათ და ორ დღეს კაციც უნდა მოცდეს. ამიტომ ბევრი საწყალი კაცი ისევ სიკვდილს არჩევს ამისთანა ექიმების მოწვევას. სწორეთ საკვირველია ჩვენი ნასწავლი ექიმების ასეთი გულგრილობა, რომლებიც თავიანთ სამშობლო სოფლებს ასე უწყრებიან და სულ ქალაქებში ბუღობენ; იქნება ისინი ამას ფიქრობენ, რომ სოფლებში მშვიდობი და ეიხობითო! არა ბატონებო, ეს დიდი შეცდომაა, ვინც ასე ფიქრობს.

შაქრო. ი. კახნაქ.

დ. ნოვო-ალექსანდრია (ლიუბლინის გუბ.). ნოვო-ალექსანდრია ძვეს დასავლეთ რუსეთში, სახელდობ პოლონიაში და შესანიშნავია მით, რომ იქ არსებობს უმაღლესი აგრონომიული და სატყეო ინსტიტუტი. ამ ინსტიტუტში შესასვლელათ საჭიროა ატესტატი გიმნაზიისა, რეალური სასწავლებლისა, სასუ-

ლიერო სემინარიისა (პირველი ან მეორე ხარისხის), და ან რომელიმე საშუალო სასწავლებლისა. მსურველთა რიცხვიდან არჩევენ იმათ, ვინც უკეთესათ დიპტერს ეგზამენიას მათემატიკურ საგნებში და რუსულ წერაში. პირველ კურსზე ყოველ წელს სამოცამდის ეკანსიაა. მთელ ინსტიტუტში 260 სტუდენტი ირიცხება; ამათში ნახევარი პოლონელია, ნახევარზე ნაკლები რუსი და დანარჩენი სომეხი. რადგანაც ინსტიტუტი გაშენებულია დაბა-სოფელში და სტუდენტები მოკლებულნი არიან დიდ საზოგადოებას, თეატრს და სხვა-და-სხვა გაართობას, ამიტომ თითონ ინსტიტუტი ხმარობს ყოველ ღონისძიებას, რომ შეეცალოს ნაკლები ვეწინაა. ინსტიტუტს აქვს გაპართული სასაქონლო ადგილები ფერმებში, ბაღებში და ტყეებში. მდინარე ვისლაზე, რომელიც ნ.-ალექსანდრიის გვერდით ჩამოდის, სტუდენტებს აქვთ რამდენიმე თავიანთი ნაგები. კვირაში ერთხელ პროფესორის თანადასწრებით სტუდენტებს შორის იმართება კამათობა სხვა-და-სხვა სამეცნიერო საგნებზე. მაგრამ ყველაზე ძვირფასი სტუდენტებისათვის არის ბიბლიოთეკა და სამკითხველო; რომელსაც გამოწერილი აქვს თითქმის ყველა სატახტო ჟურნალ-გაზეთი, აქვე შეხედებით თბილისის ყველა რუსულ გაზეთებს და რამდენსამე სომხურსაც.

ინსტიტუტში ამ შეიღ-რვა წლის განმავლობაში არც ერთი ქართველი სტუდენტი არ ყოფილა. ამნაირი სასწავლებელი არსებობს კიდევ მოსკოვში და, რამდენათაც ვიცო, არც იქ უნდა იყოს ქართველი სტუდენტი. ეს გარემოება, ჩემის აზრით, ძალიან სამწუხაროა. ნასწაველი მეტყეები და მეურნეები ჩვენთვის ძალიან საჭირონი არიან. ჩვენი უცოდინარობის გამო მიწა-წყალი ხელიდან გვეცლება და სხვა ერის ხელში გადადის; მართო სწავლით (!?) და რიგიანი მიწის პატრონობით შეგვიძლია შევიწინააღმდეგოთ ეს ძვირფასი საუნჯე, ურთმლისოთაც მიწის პირიდან ალგვა მოგვეღის. მართალია, ჩვენ ახალ-გაზდობას შეუძლია უმაღლესი აკრონომიული სწავლა-ცოდნა საზღვარ-გარეთაც მიიღოს, მაგრამ ამისათვის ბევრი ფულია საჭირო; მასთან, ჩვენთვის მოხელეებიც (чиновники) არიან საჭირონი და საზღვარ-გარეთიდან მოსულებს კი ადვილათ არ აძლევნ ადგილებს.

ქართველი გიმნაზიელი და რეალისტი თუ არ მიდის ამ სასწავლებელში ეს იმიტომ, რომ უნივერსიტეტში და სხვა სპეციალურ ინსტიტუტში კარი ღია აქვთ; მაგრამ, რით აიხსნება, რომ ჩვენი სემინარისტები ტომსკის უნივერსიტეტს აწყდებიან და ამ ინსტიტუტში შესვლას კი არა ცდილობენ? შეიძლება ამათ ეგზამენის დაჭერა უძნელდებთ მათემატი-

კურ საგნებში, რომლებსაც სემინარიაში მართლა ცუდათ გადიან. შიდა რუსეთის სემინარისტები ხშირათ იქერენ ინსტიტუტში ეგზამენიას, ამიტომ არც ჩვენი სემინარისტებისათვის უნდა იყოს ძალიან ძნელი მათემატიკურ საგნებში მომზადება, თუ, რასაკერაველია, გულით მოინდომებენ ამ ინსტიტუტში შემოსვლას.

ბუნება აქ შეენიერია; დიდრონი ტყეები და მწვანე ველები საქართველოს მოგაგონებთ. ზამთარი, რუსეთთან შედარებით, აქ უფრო თბილია, ზაფხული გრილი. ცხარება აქ უფრო იფთა, ვიდრე სხვა უნივერსიტეტის ქალაქებში. ცუდი აქ მხოლოდ ის არის, რომ სტუდენტი ვერ იშოვის ვერც გაკვეთილებს და ვერც სხვა საშუალო რასმეს, რათაც დიდ ქალაქებში ჩვენი ღარიბი სტუდენტები იოლათ მიდიან. თითონ დაბაში და გარშემო სოფლებში პოლონელები ცხარებენ. ეს ხალხი ძალიან გაირჩევა შიდა რუსეთის ხალხისაგან: აქ უფრო განათლებული, თავზიანი, მაგრამ ამაყი ხალხი ცხარებს. შიდა რუსეთში, სოფელში, თუ ქალაქში, ისე ვერ გაივლით, რომ ახალგაზდა, ჯან-სალი კაცი უკან არ მოგდევდეს ხელ-გამოშვებული მოწყალებისათვის. ტანისამოსითაც კი ვერ გააჩეც გლახას; ერთხელ ორმა რიგიანათ ჩაცმულმა კაცმა ერთი-ერთმანეთს ხელი გაუშვირეს მოწყალებისათვის, ვერ იცნეს ერთმანეთი, რომ ორივენი მათხოვრები იყვენ. ღარიბი აქაც ბევრია, მაგრამ თავის სიამაყით შიმშილით სიკვდილს ირჩევს და თავის სიღარიბეს კი არავის შეატყობინებს... იმ დროს, როცა ჩვენში ქალი, თუ კაცი ისწავლის თუ არა ორიოდ სიტყვას სხვა ენაზე, თავი მოაქვს, ცდილობს ეს უცხო ენის სიტყვები იხმაროს როგორმე (ადგილას, თუ უადგილოთ, იმის დარდი არა აქვს), აქ სულ სხვას ენედათ. აქ უბრალო ევაჯარიც ირჩევს მუშტრის გაბრუნებას, და სხვა ენაზე კი არ დაელაპარაკება, თუმცა ევაჯარმა ხშირათ იცნოს მუშტრის ენა. დუქანს და მაღაზიებს აქ ყველგან პოლონურათ აწერია.

ს. ქუჩაძანი.

* *

ლოფ. დოჭეშა. (შორაპნის მახრა). აგერ რამდენიმე წელიწადია მას შემდეგ, რაც აქ ადგილობრივ გლეხთა და აზნაურთ შორის არსებობს შეუწყვეტილი ბრძოლა. საგანი ამ ბრძოლისა გახლავთ ევებერთელა ტყით დაბურული მთა, რომელიც უმთავრეს შემოსავლის წყაროთ ითვლება მცხოვრებთათვის. ხანგრძლივ დავას შემდეგ, ამ მთის ნახევარი სასამართლო პალატის გადაწყვეტილების ძალით

დარჩა აზნაურებს. მაგრამ ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა შეუძლებელ საქმეთ გამხდარა. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ გლეხებს სრულ თავის საკუთრებათ მიაჩნიათ ხსენებულა მთა და ამიტომაც პალატის გადაწყვეტილებას არ ემორჩილებიან. ამნაირათ ბრძოლა უფროა და უფრო მწვავედება და დრო გამოშვებით სისხლის ღვრითაც თავდება ხოლმე. აი, მაგალითიც: მაისის თხუთმეტს რამდენიმე აზნაური წაიდა მთაში სამუშაოთ. მიუხედავად იმისა რომ დანიშნულ ადგილს, მოულოდნელათ ზედი-ზედ თოფის ხმა მოესმათ. თურმე იქვე მახლობლათ ჩასაფრებულნიყვენ შეიარაღებული გლეხები; ერთმა მათგანმა სასტიკათ დასჭრა აზნაური კ. ორჯონიკიძე, რომელიც რამდენსამე საათს შემდეგ გარდაიცვალა. ამ ბრძოლამ იმსხვერპლა ერთი ძალიან მოხუცებული გლეხიც, კ. კურტანიძე, მაგრამ ამით არ გათავდება ეს საქმე. ამ ქვათ ორივე მხრიდან გაისმის მუქარა და შეუქველია კიდევ უფრო დიდ სისხლის ღვრას გამოიწვევს ეს დაეა, თუ მას ყურადღება არ მიექცა, საიდანაც ჯერ არს. ეჭვი არ არის, რომ ამ საქმის სამართლიანათ დაბოლოება ადვილი არ არის და ამიტომაც მას ძლიერ სიფრთხილით უნდა მოექცენ.


მასლობელი.

* *

ს. ჯვარი (ზუგდის მან.) ეს სოფელი მდებარეობს მდ. ენგურის მარცხენა ნაპირას; მას უჭირავს მომეტებულათ მთა-გორიანი ადგილი. ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მხრით არტყია ჯვარის მთები; ეს მთები ყოფენ ამ სოფელს სევანეთისაგან. შეენიერს სურათს წარმოუდგენს კაცს ეს მთები: იმათი კიბის მგზავსათ შეწვეულ-გამოწვეული კალთებო მუდამ მწვანით არიან შემოსილნი; მათი წვეროები კი დაფარულია თოვლით. მდ. ენგურის ხეობაში სევანეთის გზაზე აქა-იქ გაშენებულია პატარ-პატარა სოფლები. ეს სოფლები ბუნებით უხვათ არის დაჯილდოებული. აქ მეტათ წმინდა ჰავაა, ყოველგან ფერღობების ძირში თათქმის თითო ფეხის გადადგმაზე ამოჩუხჩუხებს წმინდა, მთის წყაროები. ასეთ ჰავაში მცხოვრებნი მეგრელნი, რა თქმა უნდა, მეტათ ჯანსაღნი არიან. მაგრამ რაც შეეხება განათლებას, ამ მხრით აქაურები მეტათ დაქვეითებული არიან. სოფ. ჯვარისა და მის მოსაზღვრე სოფლებში მცხოვრებთ სასწავლებელზე ამ ორი წლის წინეთ წარმოდგენაც არ ჰქონიათ, მხოლოთ ეს ორი წელიწადია, რაც სოფ. ჯვარისში დაარსდა ჯვარის ერთ კლასიანი სამრევლო სკოლა. ამიტომ, რა გასაკვირველია, რომ ჯვარელები გონებით დაბლა დგანან, მათში ვერ შეამჩნევს კაცი

უბრალო სურვილსაც ცხოვრების გაუმჯობესობისადმი; ცხოვრებენ ძველებურათ; ხენა-თესვას გარდა ისინი მისდევენ შინაურ საქონლის მოშენებას და ზოგან მეთუტკრეობასაც, რასაც ადგილ-მდებარეობა ძლიერ ხელს უწყობს, თუმცა ყოველივე ეს ძველებური წესით წარმოებს. საზოგადოთ სამეგრელო ჩამორჩენილია განათლებით საქართველოს სხვა ადგილებზე. დიდ მადლობას ეუცხადებ ბ. ზ. ქიქინაძეს, რომლისაგან მივიღე ხალხში დასარიგებლათ ათასი ცალი მის მიერ გამოცემული წიგნებისა ანბანითურთ, სახელდობ: „რუსის ბრძოლა ანუ ცხოვრება დიდა მეფის სოლომონისა“, გალექსილი თ. გრიგოლ დადიანისაგან, „წამება ქეთევან დედოფლისა“ — გალექსალი ბაგრატიონისა და „ლოცვები“. ეს წიგნაკები დიდი კმაყოფილებით მიიქმეთ ჩემგან მცხოვრებლებს. ძლიერ კარგი იქნება, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში ყოველ წლობით დაურიგდებოდეს ხალხს მუქათათ ამ გვარი წიგნაკები, მხოლოთ კიდევ უფრო კარგი შინაარსისა. სკოლების გაძლიერებასაან ერთათ ამგვარი წიგნაკების მუქათათ დარიგება უპირველესი საშუალებაა წერა-კითხვის გასაუკრელებლათ. კარგი იქნებოდა, რომ წერა-კითხვის საზოგადოებაც მოგვეშველებოდეს თავისი წიგნებით.

ჯვარის სკოლის მასწავლებელი ა. ჯანტუჩია



* *



აც გინდა მასეა ნალეველ სამსალა, გული მომიკლა უიმედოსა, ცა განრისხებით ჩემთვის აქუზო, ტკბილის გრძობებით მშინო ჩემს მტერსა, მაინც შენ გეტრფი, აზრ-მეუცველოთ, შენით ვამაყოზ, შენით ესასოვებ, საწუთროს ტალოს მედგარ ბრძოლასთან შენს ტურფა სახეს წინ გავიმძღვარებ. დღე შთაინთქას ღამის წყველიადით მთვარე — ვასკლავთა მკრთალი ღამპარი, მრწამს — ცის კამარას კვლავ განაბრწყინებებს იმედით სავსე დილის ცისკარი.

ს. პავლიაშვილი.



კრიმინალური ანთროპოლოგია.*)

On ne peut plus haïr
l'être qu'on a compris.

Guyau.



ხლო ჩვენ გადმოცემთ მე-XIII თავის შ-ნა-
არს, რომელიც ასე იწყება: ზნეობრივი სუ-
ლით ავადმყოფი და დამნაშავე (Le fou mo-
ral et criminel—né); ამით ლომბროზომ უნდა
გვაჩვენოს, რომ ამათ შორის სრული მსგავსებაა
(indentité). მე დარწმუნებული ვარო, ამბობს ლომ-
ბროზო, რომ მკითხველი ძლიერ იუცხოვებს ამ მსკა-
ვებს: დამნაშავესა და ზნეობრივ—შემლილს შორ-ს.
ეს მით უფრო მოსალოდნელია, რომ მრავალ საუ-
კუნეთა განმეღობაშა უკვე შესდგა ის წარმოდგენა,
რომ რამდენათ დანაშაულობა უფრო მძიმეა, იმდენ-
ათ დამნაშავე უფრო პასუხის მგებელია; ამას ისიც
მიუმატოთ, ამბობს ლომბროზო, რომ ჩვენში კიდევ
ძლიერ არის დარჩენილი შურის ძიების გრძნობა და
შიში, ვაი თუ დამნაშავე რომ თავისუფალი დატო-
ვოთ, კიდევ ჩაიდინოს სხვა დანაშაულო; მით
უმეტესს, რომ აქამდინ ჩვენ საზოგადოებას არა აქვს
სხვა საშუალება დანაშაულობის მოსასპობათ გარდა
სატუსალოს და სიკვდილით დასჯისა.

ის, რაც Krafft—Ebbing-მა, Holländer-მა,
Mandel-მა, Magnau-მა ამოაჩინეს, როგორც თეი-
სებები ზნეობრივი—შემლილისა, გეიმტიკიცებს ლომ-
ბროზო, სუყველა ეს მე ვაოვე დამნაშავის სულიერ
და ფიზიკურ თვისებებში: ანესტეზია, ანალგეზია, რეფ-
ლექსების ანომალია, მარცხენა ხელის ხმარება და
სხვ. სხვათა შორის, ზნეობრივი—სულით ავადმყო-
ფის და დამნაშავის მსგავსება იქიდან ჩანს, რომ სუ-
ლით—ავადმყოფთა 1) სამკურნალოებში იშვიათია
ზნეობრივი—შემლილობა და ხშირია სატუსალოებ-
ში.

Dagonet-მა 3000 სულით-ავადმყოფებში მხო-
ლოთ 10—12 ზნეობრივი—სულით-ავადმყოფი ნა-
ხა. Adriani-მ და Palmerini-მ 888 სულით-ავად-
მყოფში არც ერთი ზნეობრივი—შემლილი ვერ
ამოაჩინეს. რაც ზემოთ ჩამოვთვალეთ, როგორც და-
მახასიათებელი ნიშნები თავის ქალასი, სახის და სხვ.
დამნაშავის ტიპს, ყველა ეს გამოჩენილმა პსიხიატ-

*) ის. კვალე № 42.

1) სულით-ავადმყოფობა არის საზოგადო სასული,
ხოლო ზნეობრივი—სულით-ავადმყოფი ანუ ზნეობრივი
შემლილი არის მხოლოდ ერთი ფორმა ავადმყოფობისა.

რებმა Krafft—Ebbing-მა, Manuel-მა და სხვებმა
აღნიშნეს ზნეობრივი სულით-ავადმყოფის ნიშნებთ.
ზნეობრივი—შემლილთა შორის შენიშნულია აგრეთვე
ტატუაჟი. არც ზნეობრივი—შემლილებს აქვს სახე-
ზე წამოაწითლების თვისება. გარდამეტებული ენე-
ბათა ღელვა ორიესთვის დამახასიათებელია. ხოლო
რაც შეეხება სინიდისს, ზნეობრივი გრძნობას, სრულე-
ბით მოკლებულნი არიან. ხშირათ გაიგონებთ ამ
გვარ პირთაგან (ზნეობრივი—შემლილიდან—fou mo-
ral) ლაპარაკს პატიოსნებაზე, სინდისზე, სიმატილე-
ზე, პატრიოტიზმზე, სარწმუნოებაზე, მაგრამ ეს მხო-
ლოთ სიტყვებია და ყოველთვის მოკლებულია განხ ორ-
ცილებას. ზნეობრივი—შემლილს ეს სულით-ავადმყო-
ფობა (folie morale) სისხლში აქვს გამჯდარი და დე-
დის ძუძუსთან აქვს შეზდილი, ლომბროზოს აზ-
რით.

რაც უნდა უბედურება და მწუხარება ეწვიოს
იმათ ნათესავთ და მეგობრებს, მათ გულში არაეი-
თარ სიბრალულს და თანაგრძნობას არ გამოიწვევს.
ამგვარი პირები მუდამ უკმაყოფილონი არიან საზო-
გადო წეს-წყობილებით და პოლიტიკურ რევოლიუ-
ციში ესენი ყოველთვის მხურვალე მონაწილეობას
იღებენ.

ერთი ამგვარი ზნეობრივი შემლილ ამბობს:
„მე კარგათ მესმის, თუ რა უზნეთ ვიქცევი; ეინმემ
რომ მიქოს ჩემი საქციელი, გარყვნილს ეუწოდებ,
მაგრამ სხენაირათ მოქცევა კი არ შემიძლია. ზნე-
ობრივი—შემლილი მით უმეტესს არის შესაბრალისი
და უბედური, რომ არ იცის ოჯახის და ცოლ-შვი-
ლის სიტკობება; ის, როგორც ლომბროზო ამბობს,
უფრო არჩევს dormir sous un pont que sous le
toit paternel.

ზნეობრივი—სულით-ავადმყოფი ეგოისტია ბუნე-
ბით; ეს თვისება დამნაშავის ტიპისთვისაც საერთოა;
თუმცა ეგოიზმი ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ ზნე-
ობრივი შემლილთა შორის ალტრუისტიზმიც არიან,
ხოლო ეს ალტრუიზმი უფროს ერთ რიცხვში პათო-
ლოგიურია; ამის დასამტიკებლათ ლომბროზოს მრავ-
ალი მაგალითები მოჰყავს; სხვათა შორის, მეცნიერი
Holländer-ის შემთხვევას მოვეითხრობს: ერთმა ახალ-
გაზდა ქალმა, რომელიც ამ გვარი თვისების იყო, ისე
იწყინა თავის მეგობრის სიკვდილი, რომ რამდენ-
ჯერმე განიზრახა თავისა მოკვლა.

ერთმა დედამ შემდეგი საქციელი ჩაიდინა *):
დედამ რომ თავისი ერთათ-ერთი ვაჟი დაიცვას გარყე-

*) ამ გვარი მაგალითი გსჯდება გამოჩენლ თხზუ-
ლებაში ჟან-ჟაკ რუსოსი: „La confession“. პირველი
ნაწილი.

ნილ ქალებიდან და ააციდინოს სხვა-და სხვა ავთ-
 მყოფობას, დაიჭირა კავშირი თავის შვილთან და კი-
 დევაც დაარსულდა; და რადგან არ უნდოდა, რომ
 ორსულობის გამო სილაპაჷე დაჰკარგოდა, წაიხდინა
 მუცელი. რასაკვირველია, ამგვარი ალტრუიზმი ნამდ-
 ვილი სულით ავთმყოფობაა.

თუმცა არიან იმ გვარი პირებიც, რომლებიც
 განთქმულნი არიან თავისი გარყენილი ხსიათით და
 ამასთანავე საუცხოვო მორჩილი და მოსიყვარულე
 თავისიანებისა.

ხოლო რაც შეეხება ზნეობრივ—შეშლილთა
 ჭკუა-გონებას, თუმცა Pritchard, Pinel, Nicolson,
 Maudsley ამზობენ, რომ ჭკუა-გონება საღი, ხელ-უხ-
 ლებელი აქეთო, მაგრამ მე უფრო Morel-ს ვეთანხმე-
 ბიო, ამბობს ლომბროზო, რომელიც ამტყცებს, რომ
 ამათ თუმცა პოეტური ნიჭიც აქეთ, ორატორებიც არი-
 ან, ბელლეტრისტებიც ბევრი მოიპოვება მათ შორის,
 მაგრამ მათ ჭკუა-გონებას უყვარს პარადოქსები (la
 tendance au paradoxe).

აი, ნიმუში ერთი მამის—მკვლელის აქსიომე-
 ბის: პატიოსანი სიტყვა თქვენ არაფერს გვაულებთ,
 როდესაც იგი უღირს კაცს მიეცით. ის, ვისაც არ
 აქვს სინიდისი ქენჯნა, არ არის დამნაშავე. Un
 faux nom cesse d'être tel, quand on l'a pris
 déjà une fois.—ერთი სიტყვით ის, რაც პსი-
 ხიატრებმა აღნიშნეს, როგორც დამახასიათებელი
 ზნეობრივ — შეშლილისთვის, ლომბროზოს სიტყ-
 ვით, საერთოა დამნაშავეისთვისაც: ზნეობრივ—შეშ-
 ლილს და დამნაშავეს შორის სრული ერთობაა,
 მხოლოთ განსხვავება იმაშია, რომ ზნეობრივ—შეშ-
 ლილობა ადამიანს მერმე—სიჭაბუკეში გამოაჩნ-
 დება.

შენიშნულია, რომ წინაპრები ზნეობრივ — შეშ-
 ლილებისა უმეტეს ნაწილათ სხვა-და-სხვა გვარი დამ-
 ნაშავენი არიან, რაც, რასაკვირველია, მოწმობს ზნე-
 ობრივ—სულით ავთმყოფობის და დამნაშავეობის
 ნათესაობას.

ამ გვართ ლომბროზომ დამნაშავეში ამოაჩინა
 ევლური კაცის თვისებები და ზნეობრივი—სულით-
 ავთმყოფობა [deux choses (folie morale et rime)
 sont réunies dans même sujet]; ამიტომ
 შიშს, სირცხვილს და დასჯას არავითარი გავლენა
 არა აქვს, რადგან სულიერი აგებულება დამნაშავეი-
 სა წარმოადგენს გაუსწორებელ მანკს.

ბოლოს ლომბროზომ მიუმატა ამათ მესამე
 ფორმა—ზნედა (ეპილეპსია). ლომბროზო ამბობს,
 რომ ზნეობრივი—შეშლილობა და დანაშაულობა შე-
 ადგენენ ორ სახეს ერთი საერთო ავთმყოფობისას—
 ზნედისას, რომლითაც შეიძლება იყოს ავთ ადამი-

ნი და არ აჩნდეს ის ნიშნები, რომლითაც დახასიათ-
 დება ნამდვილი ზნედა—ეპილეპსია. ამ ფორმას ჰქვია
 სახელათ ჩუმი ეპილეპსია (epilepsia larvata) და
 მითი არის შესინიშნავეი, რომ არც კონვულსიები
 იცის, არც გონების დაკარგვა და სხე., ესე იგი ის
 ნიშნები, რომლებიც ნამდვილ ეპილეპსიის დროს
 იცის. როდესაც ამ გვარი ზნედა მოუფა კაცს, შეიძ-
 ლება, საშინელი დანაშაულობა ჩაიდინოს ამ ზნედის
 მორევის წყალობით, მაგრამ უფრო საინტერესო აქ
 ის არის, რომ ხსოვნა ამ დანაშაულობისა ურჩება
 კაცს, ასე რომ დამნაშავეს კარგათ ახსოვს, რომ ჩა-
 იდინა ესა და ეს დანაშაულობა. ამ გვარი ფორმა
 ეპილეპსიისა სულ მოკლე ხანია რაც პსიხიატრიაში
 ამოაჩინეს: ლომბროზო ამბობს, რომ ამ გვარი ეპი-
 ლეპტიკის—ბენდიანის თვისებები შევისწავლე რე ამასთა-
 ნავე ამოაჩინეო, რომ სრული მგზავსებაა, ერთი მხრით
 ამგვარი ეპილეპტიკს და ზნეობრივ—შეშლილს შო-
 რის, ხოლო მეორე მხრივ კი, ესევე სრული მგზავ-
 სებაა მას და დამნაშავეს შუა, ე. ი. ეს სამი ფორმა
 თავსდებიან ერთ არსებაში.

მასადამე ლომბროზოს აზრით, დამნაშავეის
 ტიპის თვისებებში ჩვენ ეხედავთ ევლური კაცის თეი-
 სებებს (ატაეიზმის გავლენით), ზნეობრივ—სულით-
 ავთმყოფის აგებულებას და ბოლოს ლომბროზომ
 მიუმატა ზნედა (epilepsia larvata). ბენდიანს და
 დამნაშავეს შუა მხოლოთ იმაშია გარჩევა, რომ სხვა-
 და-სხვა ტვინის ადგილებია შერყეული: თუ ის ტვი-
 ნის ადგილი იქმნა შერყეული, სადაც მოძრაობის
 ცენტრია, წარმოდგება ზნედა—ეპილეპსია; ხოლო
 თუ ტვინის შუბლის ნაწილი იქმნა შეღალული წარ-
 მოდგება ლტოლილება დანაშაულობისადმი. დანა-
 შაულობა, ასე ათაეებს ლომბროზო, არის ბუნებრი-
 ვი მოვლენა და, როგორც ამას ფილოსოფოსი იტ-
 ყოდა, საჭირო და მგზავი დაბადებისა, სიკვდილისა
 და შეშლილობისა, რომლის ცვლილებას შეადგენს
 დანაშაულობა. ამიტომ ინსტინქტიური მკაცრი მოქ-
 მედებანი პირუტყეების და ძცენარებისაც არაფრით
 განირჩევიან დამნაშავეის „მცეტურ“ მოქმედებისგან.

ახლა ვიტყვით რამდენსამე სიტყვას „შემთხე-
 ვით დამნაშავეის“ შესახებ. (criminel d'occasion).
 ლომბროზო ამბობს, რომ არიან იმისთანა პირები,
 რომლებში თესლი დანაშაულობისა, თან დაყო-
 ლი დაბადებთ, სხვა-და-სხვა გარემოების და მიზეზე-
 ბის წყალობით, უცბათ გარდაიქცევა დანაშაულო-
 ბათ. რადგანაც ლომბროზოს აზრი იმაში მდგომარე-
 ობს, რომ დანაშაულობა არის საერთო ბუნებრივი
 მოვლენა, ამიტომ, რასაკვირველია, ლომბროზოს
 წარმოდგენით ძლიერ სამწელოა, რომ ადამიანმა
 შემთხვევით ჩაიდინოს დანაშაული და ამასთან სრუ-

ლი თავისუფალი იყოს დანაშაულობისადმი მადრეკილებასგან. როგორც ზემოთ ვთქვი, ლომბროზო ამბობს, რომ ამგვარ დანაშაულებს აქვს მხოლოდ თესლი მომავალი დანაშაულობისა და სხვა-და-სხვა გარემოებათა გავლენით გარდაქცევა დანაშაულობათ.

ამგვარ „შემთხვევით—დამნაშავეთ უნდა ჩავთვალოთ დოსტოევსკის რომანის გამოწვეული გვირგვინი—დამნაშავე რასკოლნიკოვი. აქვე შევნიშნავთ, რომ პსინიატრები დასავლეთ ევროპას ძლიერ აუხასებენ ამ გამოჩენილ (დოსტოევსკის) რომანებს; გამოჩენილი იტალიელ მეცნიერს Garofalo-ს ბევრი ადგილები მოჰყავს ხოლმე დოსტოევსკის რომანებთან თავის სამეცნიერო თხზულებებში. რუსის მწერალი ზაკრეესკი, სხვათა შორის, ამბობს ერთ ფრანგ—პსინიატრზე, რომ როცა იმას საეჭოო რამ შეხედება აწყობ პსინიატრიაში, უფრო დოსტოევსკის რომანებს მამართავს, რომ ექვი გაქარწყილასო.

არიან იმისთანა პირებაც, ლომბროზოს აზრით, რომლებიც თავისი ფიზიკური და სულიერი აგებულებით ნამდვილ დამნაშავეს ტრას შეადგენენ, მაგრამ იმის წყალობით, რომ წარჩინებული ადვალტი უჭირავთ და აქეთ დიდა მატერიალურა შეძლება, რაც, რასაკვირველია, მათ აძლევს სრულ ღონისძიებას დიკვაყოვალან ყოველი თავისი ლტოლულება რჩებიან დაუჯგულნი.

— მე თათრან ვაცნობდი ამგვარ პირსო, ამბობს ლომბროზო; ერთმა ჩემმა აშანაკმა—მეცნიერმა, ამ გვარი აგებულებისა, მე თათრან ვაქჟურდაო.

გ. ბადრიძე.

(შემდეგი იქნება).

გურიაში მოგზაურობა.

საზოგადოთ წელს გურიაში კარგი მოსაკალია; მართალია, ქარმა გააფუტა ყურძენი და ღოვი, მაგრამ სიმინდი კი ბლომათ იქნება ავთოყოფობა ხალხისა, ციებ-ცხელება და სხვა გვარა სენებიც თუმცა არის, მაგრამ იგიც შემციობებულია წინანდელთან შედარებით; ეს ხალხს გონებით წინ წაწევას უნდა მიეწეროს... მარჩიელებს და ხატჯვარობას მუშტარი თან-და-თან აკლდება. წინათ, „ნაბრალეებს“, გადანაცემარს რომ უძახოდენ და ხატებს ზვარაკებს წირადენ ავთოყოფის განსაკურნებლათ, ახლა ეს უფიცობა თან-და-თან სუსტდება და მისადგილს ნამდვილი ექიმობა იჭერს, თუ სოფლის ექიმე-

ბი და „ვერშლები“ ამ შემთხვევაში ხეირიანთ მოიქცევიან!.. გონებით წარმატებაც შესამჩნევათ მიღის წინ. აქაც გურულ თამაჯუაჩუაზას კარგი სარგებლობა მოუტანია. „ერთი თუ დაწინაურდა, გაუქეთესდა, მე რა ჯანდაბა დამეწართაო“ და თუ გამოვებით მონდომებულა გურული, რომ მის საუკეთესო მგზობელს უკან არაფრით ჩაიზრჩეს; მაგრამ ნიეთერი სახსარი მათთვის ჯაჭკა ამ შექობვევაში: „იპან თუ იქიდა ჩენი მწერლებს სურათება და წიგნება, იმან უთუ გამოიწერა ჩენი ქურალ-გაჭეთება, —ქერა ცეცხლზე ძმარა დამესხაო“—წუხს გურული.

ასეთი წამბამელოზისა და თამაჯუარობასგან არა გამოვა; რაო იტყვის ზოგიერთო, მაგრამ მე კაგამოცდილებით ვამბობ, რომ ჯერ კარგი ნყოფი ჩანს ამ გვარი მაგალითებით!.. ასეთ სიკარგესთან ბევრი სიიეც ნდება გურიაში; დავიწყეთ თაიდან:

სოფ. ჯაპანა, რომელიც ამაღლების საზოგადოებას ეკუთვნის, დიდ გაჭირებაშია: ამ ქვამთ, მთელ ამ სოფელს აზ. დ.—ბი ძალადობით აყრას უზარევენ; ხშირათ დ—ბისაგან დაქირავებულ ქობულეთლებსა, (ესენი თავზე ხელ-აღებული ხალხია და ვისაც საჩხუბარი საქმე გაუჩნდება ამ ქობულეთელ რაინდებს მიმართვენ ხოლმე) და ამ სოფლს მცავერებლებს შორის საშენელა ჩხუბი ნდება, რას გამოზოგი თუ გახეთქილი, ზოგი დაჭრილი და ზოგი აკლებულ-დაწიოკებული სამწუხარო მღვდამარცობაში არიან. ღღემდე მათი ომი და ალოაქოთი ამ სოფლის დანარჩუნებაზე ამაო იყო; ხოლო ღღესკი, ერთმა, ძალზე გამდიდრებულმა დ—ამ მოინდომა ამ მიხნის მიხწევა ფულის წყალობათ, რომელიც არ ზოგავს თავის-ღონეს, ოლონდ კი ეს საწყალი სოფელი ააოხროს. წარმოიდგინეთ, ეს სოფელი დასაბამიდან ოზურგეთის მაზრას ეკუთვნის და ახლა კი ათას გვარი მოხერხებით ისე ეწყობა საქმე, რომ სენაკის მაზრას აწერენ. თუ ეს დამტკიცდა, მაშინ ამ სოფლს გაუშაძლარო მოღვენე გამარჯვებენ სამართლით, რადგან თითრან დ—ბიც სენაკის მაზრის არიან და ეს სოფელიც მათი იქნება. თქმულა: „ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო“. ჯაპანლები ამბობენ: შეიძლება დ—მა სამართალი უკუღმა დაატრიალონ, რადგან „ძალა აღმართის მხენელიაო“, მაგრამ ჩვენ კა უკანასკნელ სისხლას წვეთამდე ვიბრძოლებთ და ჩვენ მამა-პაპეულს არავის დავანებებთო. სხვა რომ ვერაფერი გაწყეს დ—ბმა ამ სოფელში ღამათ ოთხჯერ ჩადგეს სახლი ოთხჯერე დაუნგრია სოფელმა. შემდეგ დ—ბი, როგორც იყო, გამაგრდენ ერთ მათ მიერ დადამულ სახლში, სადაც მოიშველეს ქობულეთლები და სხვა მრავალი თავიანთი ნაყმეები; ესენი დაინახენ თუ არა

ოფლის ოთხ-ფეხ საქონელს ან სხვა რამეს, — მაშინ-
ვე შეუბრალებლათ ხოცვენ, ასე რომ ამ სოფლის
მდგომარეობა სწორეთ სამწუხაროა. ნუ თუ ამ უბე-
ღურებას არაფერი ეშველება? და დ — ები, რომელ-
თაც ათას-ათასი დესიატინა მიწა აქეთ, უნდა აწი-
ოკებდნენ უიმისოთაც შევიწროებულ გლეხებს?!

ახლა ნიგოთხე ვიტყვი ორიოდ სიტყვას. ნი
გოთხეში ძალიან დანტერესებულია ხალხი სწავლა
განათლების შესახებ. აქამდის ერთი სკოლა ძლიერ
არსებობდა აქ, მაგრამ ახლა ორი პირველ დაწყები-
თი და ერთიც ორ-კლასიანი სკოლაა. ამას წი-
ნათ, ერთ კვირა დღეს, ნიგოთხის კანცელარიაზე,
შეკრებილ საზოგადოებას დავესწარი. ამ საზოგადოე-
ბას აქაური სკოლის უფროს მასწავლებელმა, ბ. გი-
გო წულუკიძემ, წაუკითხა ძველი ჩვეულების ტირი-
ლის შემცირების წესდება, რომელიც წინდაწინ შეედ-
გინათ. ამ წესდების წაკითხვის შემდეგ თ. ღიმ. მაჭუ-
ტაძემ აუხსნა ხალხს, თუ რამდენათ მიეწებოდა მათ-
თვის არსებული ტირილი. სხვათა შორის, წესდებაში
იყო: ისე უნდა შემცირდეს არსებული ტირილის წე-
სი, რომ ასი და ორასი მანეთის ნაცელათ რვა მან-
ეთითაც შეიძლებოდეს მიცვალებულის დასაფლავე-
ბა. ყველა მასწავლებელი ნათესავეები მიცვალებული-
სა მხოლოდ დასაფლავებაზე დაეხმარონ, შემდეგ სა-
სადილოთ კი თავ-თავის სახლში დაბრუნდნენ.
სანამ ამ მუხლამდე მიახწევდა ბ. წულუკიძე, ხალხ-
ში მღუმალება იყო, ხოლო რაკი გაიგეს სახლში
უსადილოთ დაბრუნდითო, მაშინვე აირია მონასტე-
რი, ატყდა ჩოჩქალი და ხმაურობა. როდესაც ცო-
ტა დამშვიდდა საზოგადოება, ბ. წულუკიძემ განაგრ-
ძო დანარჩენი მუხლების წაკითხვა. ეს ტირი-
ლის მოსაზრების წესდება კარგა მოფიქრებით და და-
კვირებით არის შემუშავებული, რომელიც სხვა
სოფლების სამავალითოთაც კარგი იქნება! ამ წეს-
დების ხელ-შეკრულებაზე მესამელიც არ დარჩენი-
ლა ხელ-მოუწერელი და თუ ვინმემ არ თანაუგრძნო,
იმიტომ რომ ზოგს მეთაურობა ასცილდა ამ საქმე-
ში და ზოგს ფურნები მოუტყდებოდა, რადგან პუ-
რი არ გაუსაღლებათ ახალ-მოდის ტირილში!.. ამას
შემდეგ, თ. ღიმ. მაჭუტაძის თაოსნობით მომზადე-
ბული ბიბლიოთეკა აკურთხეს, რომელზედაც ბევრი
სტყუები წარმოიტქვა აქაური ინტელიგენციისგან,
რითაც დიდ მადლობას უცხადებენ თ. ღიმ. ღიმ. ღიმ.
ამ კეთილი საქმის მოწყობისთვის. შემთხვევით
დაესწრო ამას ბ. ნ. წერეთელიც; რომელმაც აუ-
ხსნა დამსწრე საზოგადოებას სამკითხველოს და
სწავლის მნიშვნელობა. აქვე, ამ დღეს ფულათ
თუ წიგნებით ას მანეთზე მეტი შეიკრიბა სა-
მკითხველო სასარგებლოთ. დიდი მადლობის ღირ-

სია თ. ღიმ. მაჭუტაძე, რომლის ქველ-მოქმედება
მარტო ამ სამკითხველოს დაარსებით არ განისაზღე-
რება და რომელსაც კიდევ ბევრი განძრახვა აქვს
ვაქირებული ხალხის დასახმარებლათ!.. პატივისცემის
ღირსია აგრეთვე მისი მეუღლე ანნაც, რომელიც
ავთამყოფებს დიდ დახმარებას უჩენს, როგორც თავ-
ის შრომით, აგრეთვე უსასყიდლოთ წამლების მიწო-
ლებით; აგრეთვე თ. გიგო წულუკიძე და მისი მეუღ-
ლე ძლიერ მაცადინებენ ამ სოფლის საკეთილ-დღე-
ოთ.

იოსებ მეთაურე.

(დასასრული შექმედ.)



ბიბლიოგრაფია.



ამოვიდა ახალი წიგნი „ღარგინიზმი“ ე. ფე-
რიერისა, თარგმ. ი. ფანცხავას მიერ, გამოცე-
მა ივ. როსტომაშვილისა. ფრად სასიამოე-
ნოა ამ გვარი თხზულებების თარგმნა და გამოცემა
ჩვენს ენაზე. თვით წიგნის შინაარს რაც შეეხება უნ-
და ეთქვას, რომ ეს წიგნი განთქმულია მთელ ევ-
როპაში: ამის ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ
ფერიერი მოკლეთ გადმოგვეცემს მთელ ღარგინის
მოძღვრებას და ამასთან ძლიერ გასაგებ ენითაც.

ვინც ამ წიგნს გულ-დასმით წაკითხავს, შეუძ-
ლია იქონიოს საზოგადო წარმოდგენა ღარგინის
მოძღვრებაზე. თუ რამდენათ გასაოცარი ღრმა და
სინტერესოა ეს სწავლა, ამას მკითხველი ცოტა-
ოდნათ ამ წიგნიდანაც გაიგებს. ეს წიგნი — ფერი-
ერის თხზულება — თითქმის ყოველ განათლებულ
ქვეყნების ენაზე არის ნათარგმნი. ჩვენის მხრით დი-
დი მადლობა უნდა ეუძღვნათ ი. ფანცხავას გადმო-
თარგმნისთვის და ივ. როსტომაშვილს გამოცემის-
თვის. რასაკვირველია, ჩვენ კარგათ ვვძინობთ, თუ
რამდენათ ძნელია ამგვარი წიგნის ჩვენ ენაზე გადმო-
თარგმნა, მაგრამ ბ. ი. ფანცხავას ნათარგმნს მაინც
ბევრი ღირსება აქვს: გადმოთარგმნილია გასაგები
ენით.

წიგნი არის გამოცემული ძლიერ სუფთათ, რო-
გორც საზოგადოთ ყველა გამოცემა პატივცემულ
როსტომაშვილისა.



„დავიწყებული ქვეყანა“

(სომხურ ენაზე)

ორი წელიწადია რაც ერთი დიკვანი არუთინა ქუ-
ლურიანცი გამოცემს ხოლმე ზემოხსენებული სათაურით

მოთხრობებს, ახლა გამოვიდა მესამე ნაწილი. მოთხრობები შეეხება სოკლის ვითარებას და ხალხის ყოფაცხოვრებას. სოფლის ცხოვრების აღწერა ზე ხალხის ერთ ნაწილი მოთხრობები ძალიან ცოტაა სამხურ ლიტერატურაში, თითქოს ყოველ ჩვენ მწერლებს დაეწყებია სოფლისთვის ყურადღების მიქცევა. ამ წიგნისთვისაც ამიტომ მიუციათ აგრეთი სათაური. ამ მესამე ტომში მოთავსებულია შემდეგი მოთხრობები: „ტერ-ტერს აჩუკა სოფელში“, „ქრის მკვარხლის ქის“ და „მწიქსი ჩაღინას სიყვარული“. ხსენებული მოთხრობები ყაზანის სოფლების ცხოვრებიდან არის და იმათ კილოზეა დაწერილი.

დ. ტ - დ.

კობაძემ.

საქველ მოქმედო საქმე.



ქ-ნო რედაქტორო! ამასთანავე განსლებთ სამოცდა ორ მანეთს (62 მან.) სპირიდონ გრიგოლის ძე ჩითაეიშვილის თავონობით შეგროვილს ზიატიგორასის ქართულეთა შორის „ირაკლის ფონდის“ სასოფლოზე და გთხოვთ გამოაცხადოთ, თქვენ ზიატიგორაზე ყურნალ „კვალში“ შემომწირველთა სია:

10 მან. სპირიდონ გრიგოლის ძე ჩითაეიშვილი და მ. ონისიძე ღაზარის ძე შავგულიძემ. 4 მ. და 50 კ. კუხმა გიორგობანიძე. სამ-სამი მან.: მისილ მანიაშვილმა და რაფ. მგელაძემ. ორ-ორი მან.: მის. ბაბილაურმა, თევ. იმედაძემ, აგორ თამარიძემ, შაქ. საგინაშვილმა, გ. დუმბაძემ. თითო მან.: ივ. ვარდიანიშვილმა, ვას. ფიცხლაურმა, იოსებ დოლინჯანიშვილმა, მის. ყაყანიძემ, მას. ვარდიანიშვილმა, თამა გოჭიძემ, ლავ. დუმბაძემ, ვარ. გომეჯანიშვილმა, იოსებ გიორგაძემ, ივ. ნადირაშვილმა, ნიკო ჩამაზანიშვილმა, სოსიკო ჩიკვაძემ, კონ. ბადურაშვილმა, ალექსი მამუკელიაშვილმა, დიმ. კობანიშვილმა, გიორგი შამანიშვილმა, სამსონ შიუკანიშვილმა, ალექ. ელიზბარაშვილმა, გიორგი მეფარიანიძე, სიმ. ზანუაშვილმა და სტ. იობანიშვილმა. ათ-ათი შუფთი: ტატო შიშინაშვილმა, გეორგი მადათოკმა, სულ შედგა 62 მან. 50 კაზ. (50 კ. ფოსტის სარკვით გავიდა).

რაფიელ მგელაძე.

ადრინდელი შემოწირულთა იყო 108 მან. 90 კ. ამითი განსლება 170 მან. და 90 კაზ.

ქ-ნო რედაქტორო! ამ დღეებში სიღნაღის ქართველი სასოფლოზე გამოეთხოვა სასინადას ს. ფ. სინადას, რომელიც მთავრობის განკარგულებით ფოთში გადაიყვანეს. მის ზატყვისკემლათ გამართულ სადილზე წამოხატა სიტყვა ქართველ ლიტერატორებზე და „წერა-კითხვის გამავრცელებელ სასოფლოზე“. დამსწრე ლიტერატორების და წერა-კითხვის გამავრცელებელ სასოფლოების შესწინაგით გამოიღეს თავიანთ წვლილი თორმეტი მანეთი და ექვსი შუფთი. გიგზავნით ამ ფულს და გთხოვთ უმორჩილესათ, მიიღოთ შრომა და გადასცეთ კუთვნილებსამებრ „წერა-კითხვის სასოფლოებს“ ან „სადიტიტრატორო ფონდს“.

ეს ფული გადაეცა „წერა-კითხვის სასოფლოების მდივანს“.

ქ-ნო რედაქტორო! გთხოვთ უმორჩილესათ თქვენი ზატყვისკემლი გავით „კვალის“ საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ იმ ზატყვისკემულ ზირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და დახმარება ამოუჩინეს ფულათ ქაქუთის სამრეკლო სკოლას დამწვარ შენობის აღსადგენათ.

სია შემომწირველთა: 3 მან. ლიზა აბანიშვილი-სამ, ორ ორი მან. ექვთიმე კვაჭაძემ, ან. მგელაძემ, მელ. ნაკაშიძემ და ნინო მგელაძისამ. თითო მანეთი: ევა ჭორობილაძისამ, გერ. წულაძემ, ვლ. მგელაძემ, მალ. ვანაჩორობამ, აგორ ცეცხლაძემ, გ. ეჩიძემ, სარ. მგელაძემ, ლევ. კანანიძემ, ელ. ზემინოვისამ. 50 კ. უნობმა და 30 კ. ტრატე გურასანიშვილმა. ეს ფული შუგე გადაეცემა სკოლის შენობის გამოკას.

ნინო მგელაძის.

ქ-ნო რედაქტორო! ნუბ გვიბოძეთ თქვენ ზიატიგორაზელი გავით „კვალის“ საშუალებით გამოუცხადოთ უგულითადესი მადლობა ბ. გიორგი მესხიშვილს, რომელმაც კეთილ ინება და შემოსწინა ავაურთის სკოლას 1896 წლის ყურნალი „კვავილი“.

სოფელ ავაურთის სკოლის მასწავლებელი ვ. ხუციშვილი.

ქ-ნო რედაქტორო სონის წმიდის გიორგის სობორის კრებული და სრულიად სამრეკლონი უმორჩი-

დესთ გთხოვთ, თქვენი ზატვიცემული ჟურნალ „კავის“ საშუალებით, გულისთადი მადლობა გამოუცხადოთ დ. სონში, მცნოვრებთ მოვარკრეთ რომანოზ და ერისტო დავითისქეთ პასტაქებთ, რომლებმაც საკუთარი სარკვით (ას ათი თუმანი დავუჯდათ) გადასურეს სოპორო.

წინამძღვარი სონის საკრებულთ ტაძრისა, პლადო-ჩინი მღვდელი ერასტი მასტარაქე.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა

განცხადება

ქ თ ა ი ს შ ი

ღარსებული თეატრალური კომისსია იწვევს, როგორც არტისტებს ისე ჯერეთ სცენაზე არ გამოასულ პირთ, რომელთაც სურვილი აქეთ მიიღონ მონაწილეობა ქუთაისის მუდმივ ქართულ დასში.

განცხადება შეუძლიათ შემოიტანონ კოსტანტინე დიმიტრის ქე პაქრასის სახელზე, ქ. ქუთაისში.
(3 - 1)

ქართული წიგნების მაღაზია:

ი. იმედაშვილის და ს. ჭელიძისა

იმყოფება გიორგივეის ქუჩაზე (აღეკ. ბაღის პირდაპირ) არჯვენაიძის სახლში № 14., სადაც ყოდულობენ და ჰყიდიან ყოველ გვარ ქართულ წიგნებს და სხვა პერიოდულ გამოცემას. ჰყიდიან და ჰყიდილობენ აგრეთვე რუსულ საკითხზე და სახელმძღვანელო წიგნებს.
(4 - 2)

„აღმოსავლეთის მაღაზია“

პატივი მაქვს ვაუწყო საზოგადოებას, რომ მე გვაღე „აღმოსავლეთის მაღაზია“ რომელიც განსაკუთრებით ივარკრებს კავკასიის, აზიის და საზოგადოთ აღმოსავლეთის საუცხოვოთ დამხადებულ ნაწარმოებთ. თბილისში ლორის-მელიქოვის ქუჩა სემინარიის პირდაპირ № 4.

ი. ნ. მეტევიასქე.

საკომერციო პურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეთუთხმეტე)

კურსების დანიშნულება ის არას, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავებას შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1896—97 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო ანთმეტიკა, 3) ბუსგალტერია მარტინი, ორკეციც და საბანკო, 4) ანთმეტიკა სახანგარისო რითქათ, 5) საკომერციო მიწერ მოწერა, 6) საკვარცხ და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწავლ-წერა და წერა გავრული და შნოიანი (исправление дурного почерка).

სწავლა დაიწყება 16 სექტემბრიდან. ახლათ შემომსვლელთა მიღება დაიწყება 2 სექტემბრიდან. ყოველ დღე დილის 10 საათიდან თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდან 8 სათამდე, კურსების სადგომში, სასლი აღუქანდრე ფრიდროვისა № 9, სერგაივის და ნავრონის ქუჩაზე, აფთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსსუიდელოთ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკორო კანტორაში, სიონის ქუჩაზე.

ვინც ქალაქს გარეშე ცხოვრებს, შეუძლია წერილით მიმართოს კურსების დამარსებელს პ. მანუქლიანს, ტვილიში.

(12—11)

გბილის ექიმი

ვ. ი. ტიჭინაძე

ნიკოლოზის ქუჩა, № 21, სახლი, ე. საგინოვისა, სადაც „ივერიის“ რედაქცია.